პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი | № 159 (11770) | კვირა, 10 ივლისი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

## ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო რ. ჰ. ჯუანდა კარტავიჯაია

9 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობის პირველი მინისტრი რ. ჰ. ჯუანდა კარტავიჯაია, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის მთავრობის მოწვევით.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და რ. ჰ. ჯუანდა კარტავიჯაიას შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც მეგობრულ, გულითად ვითარებაში ჩაიარა.

საუბრის დროს შეეხნენ საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის ურთიერთობის საკითხებს, აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს. აზრთა გაზიარების მსვლელობაში გამოვლინდა ორივე მხარის სრული ურთიერთგაგება იმ პრობლემების თაობაზე, რომელთა წინაშე დგას მსოფლიო ამჟამად, და განსაკუთრებით განიარაღების პრობლემის თაობაზე. (საკდესი).

## საპატიო ინდონეზიელი სტუმრის პატივსაცემად

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ 9 ივლისს კრემლის დიდ სასახლეში დარბაზობა გამართა მისი აღმატებულების, ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობის პირველი მინისტრის რადენ ჰაჯი ჯუანდა კარტავიჯაიას პატივსაცემად, რომელიც სსრ კავშირში [illegible] იმყოფება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოწვევით.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები [illegible] ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, [illegible] ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი და სხვები.

დარბაზობის დროს, რომელმაც დიდი გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და ინდონეზიის მთავრობის პირველმა მინისტრმა რ. ჰ. ჯუანდა კარტავიჯაიამ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. (საკდესი).

# მტკიცე მშვიდობისათვის ხალხთა ბედნიერებისა და ნათელი მომავლის მოსაპოვებლად

### ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა მასწავლებელთა სრულიად რუსეთის ყრილობაზე 1960 წლის 9 ივლისს

ძვირფასო ამხანაგებო!

გადმომცეს თქვენი მოწვევა მონაწილეობა მიმეღო მასწავლებელთა სრულიად რუსეთის ყრილობის მუშაობაში, რომელიც განიხილავს ნაყოფიერ შრომასთან სკოლებში სწავლების შეერთების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებს. დიდი კმაყოფილებით მივიღე ეს მოწვევა, რადგან საკითხებს, რომლებსაც თქვენ განიხილავთ, დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, ისინი წარმოადგენენ კომუნიზმის მშენებლობასა და კომუნისტური შეგნებულობის სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდაში ჩვენი პარტიის მუშაობის შემადგენელ ნაწილს.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით გადმოგცემთ თქვენ, ხოლო თქვენი სახით ჩვენი ქვეყნის ყველა მასწავლებელს — საბჭოთა სახალხო ინტელიგენციის ერთ-ერთი სახელოვანი რაზმის წარმომადგენლებს გულითად სალამს და გისურვებთ ახალ საუკეთესო წარმატებებს თქვენს კეთილშობილურ შრომაში. თქვენ ზრდით მომავალ თაობას, ზრდით მომავლის ადამიანებს — კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებლებს.

კომუნისტური პარტია მუდამ დიდად აფასებდა და აფასებს სახალხო მასწავლებლის შრომას. საბჭოთა სახელმწიფოს დიდი დამაარსებელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ამბობდა, რომ სახალხო მასწავლებელი ჩვენში დაყენებულ უნდა იქნას ისეთ სიმაღლეზე, რომელზეც იგი არასოდეს არ მდგარა, არა დგას და არც შეიძლება იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

ლენინის ბრძნული ანდერძი განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში; მასწავლებლებისათვის ზრუნავს და ისინი უყვარს მთელ ხალხს. თავიანთი თავდადებული, ბეჯითი შრომით მათ შეიტანეს და შეაქვთ ფასდაუდებელი წვლილი სოციალისტური კულტურის განვითარებაში, სოციალიზმისა და კომუნიზმის განათლებულ და შეგნებულ მშენებელთა მომზადებაში.

ეს თქვენ, სახელოვანი სახალხო მასწავლებლები, არ იშურებთ ძალებსა და შრომას და ულვიძებთ ბავშვებს ცოდნის წყურვილს, შრომის სიყვარულს, ასწავლით მათ ერთგულად ემსახურონ თავიანთ ხალხს, სოციალისტურ სამშობლოს. საბჭოთა ქალიშვილებიდან და ჭაბუკებიდან, რომლებმაც სკოლაში აღზრდის კარგი საფუძვლები მიიღეს, გაიზარდნენ აგრეთვე გამოჩენილი მეცნიერები, ინჟინრები, აგრონომები და შესანიშნავი შრომის გმირები ჩვენს ქარხნებში, ფაბრიკებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, და მამაცი მეომრები, რომლებიც მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე დგანან. ყველა ისინი თავიანთი შრომითა და ნიჭით სახელს უხვეჭენ სოციალისტურ სამშობლოს, რომელიც ახლა დგას მთელი კაცობრიობის პროგრესის სათავეში, დედამიწაზე მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლის სათავეში.

მაშ მიიღეთ, ძვირფასო მეგობრებო, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდი მადლობა თქვენი კეთილშობილური შრომისათვის!



მოსკოვი, 9 ივლისი, 1960 წ. კრემლის დიდი სასახლე. მასწავლებელთა სრულიად რუსეთის ყრილობის დელეგატები თაიგულებს გადასცემენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

ფოტო ს. სმირნოვისა.

## საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ურთიერთობა მშვიდობიანი თანაარსებობის კარგი მაგალითია

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ მხოლოდ გუშინ დავბრუნდი ავსტრიის რესპუბლიკიდან, სადაც ავსტრიის მთავრობის მიწვევით ვიყავი საპასუხო სახელმწიფო ვიზიტით. ამიტომ ნება მიბოძეთ უწინარეს ყოვლისა გაგიზიაროთ შთაბეჭდილებანი ამ მოგზაურობის შესახებ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოგზაურობა სასარგებლო და ნაყოფიერი იყო. შეხვედრები, მოლაპარაკება და საუბრები, რომლებიც ჩვენ გვქონდა ავსტრიის პრეზიდენტ შერფთან, ფედერალურ კანცლერ რააბთან, ვიცე-კანცლერ პიტერმანთან და სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან, გულახდილი და მეგობრული იყო. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი შეხვედრები ხელს შეუწყობენ ჩვენს ქვეყნებს შორის უკეთეს ურთიერთგაგებას და ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას. ეს ურთიერთობა ახლაც კარგია, მაგრამ ჩვენ ვისწრაფვით, რომ იგი უკეთესი იყოს.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მოლაპარაკებას ავსტრიის სახელმწიფო მოღვაწეებთან არ გამოუწვევია დიდი სიძნელეები არც ერთი მხარისათვის. ავსტრია ნეიტრალური ქვეყანაა და მისი მთავრობა იცავს ნეიტრალიტეტს, რომელსაც ჩვენ პატივსა ვცემთ და ვაფასებთ. მოლაპარაკების მსვლელობაში დავაზუსტეთ ჩვენი ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი, რაც გამოხატულია საბჭოთა კავშირ-ავსტრიის კომუნიკეში, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა.

როგორც კომუნიკედან ჩანს, ორივე მხარემ ერთსულოვნად აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ურთიერთობა, რასაც საფუძვლად უდევს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების აღიარება, მიუხედავად საზოგადოებრივი სისტემებისა და იდეოლოგიურ შეხედულებათა განსხვავებისა, დამაკმაყოფილებლად ვითარდებოდა ორივე მხარისათვის ურთიერთპატივისცემისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის ბაზაზე. ორივე სახელმწიფოს შორის არ არსებობს გადაუჭრელი პოლიტიკური პრობლემები, ორივე მხარე ყოველ ღონეს იხმარს, რათა განიარაღების საკითხი დადებითად გადაიჭრას, რაც ხელს შეუწყობს ომის საფრთხის თავიდან აცილებას და გაათავისუფლებს ხალხებს გამალებულ შეიარაღებასთან დაკავშირებული სიძნელეებისაგან.

მოლაპარაკების შედეგად მიღწეულია შეთანხმება საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის შემდგომი განვითარების შესახებ.

ავსტრიის მთავრობის სურვილების გათვალისწინებით დადებითად გადაიჭრა გარკვეულ ნაკეთობათა შეკვეთებისა და ჩვენი საქონლის მიწოდების ზოგიერთი კონკრეტული საკითხი. ჩვენ შევთანხმდით დავდოთ ახალი გრძელვადიანი შეთანხმება საქონლის ურთიერთ მიწოდების შესახებ 5 წლით. ეკონომიური ენით რომ ვთქვათ, ჩვენს ურთიერთობას ვაშენებთ ურთიერთხელსაყრელ შეთანხმებათა საფუძველზე. ასეთი პოლიტიკა დადებით შედეგებს იძლევა. და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მიღწეული შეთანხმებანი ხელს შეუწყობენ ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომ გაუმჯობესებას.

საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის მთავრობებმა დაადასტურეს, რომ ესწრაფვიან კულტურული და მეცნიერულ-ტექნიკური გაცვლის შემდგომ გაფართოებას და განაცხადეს, რომ თანახმა არიან წაახალისონ ყოველგვარი ინიციატივა, რომლის მიზანია ჩვენი ქვეყნების კულტურული დაახლოება.

ფედერალურ კანცლერ ბატონ რააბთან ჩვენ კარგი ურთიერთობა დავამყარეთ. მაგრამ მე მინდა ვთქვა, რომ იგი იჩენდა მეტ სიმტკიცეს, მე ვიტყოდი, ხელმოჭერილობას ზოგიერთი ეკონომიური საკითხის განხილვის დროს. თავის დროზე ჩვენ დავაკმაყოფილეთ ავსტრიის მთავრობის სურვილი და ზოგიერთი დათმობა გავაკეთეთ საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ვაჭრობის განვითარებისა და წახალისების მიზნით. ავსტრიის მხარეს ეს მოეწონა. მაგრამ ვენის მოლაპარაკების დასაწყისში ვაჭრობის შემდგომი განვითარების შესახებ ჩვენ მტკიცედ განვაცხადეთ, რომ სავაჭრო შეთანხმებათა დადების დროს ყოველგვარ დათმობას საზღვარი აქვს. იმისათვის, რომ ეკონომიური ურთიერთობა ჯანსაღ საფუძველზე ვითარდებოდეს, ეს ურთიერთობა უნდა ავაგოთ ურთიერთხელსაყრელობის პრინციპზე. უნდა აღინიშნოს, რომ ავსტრიის მხარე დაეთანხმა ამ ერთადერთ გონივრულ მიდგომას.

ამჟამად ჩვენი ეკონომიური ურთიერთობა ავსტრიასთან კარგად ვითარდება. ჩვენ გვინდა გავაფართოოთ ვაჭრობა, და ავსტრიის მხარე დიდ ინტერესს იჩენს ამისადმი. მაგრამ აქ იქმნება ზოგიერთი სირთულე, რომლებზეც არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი გადაულახავი იყოს. სათანადო ღონისძიებათა პირობებში, — უნდა ითქვას, ისინი უფრო საჭიროა ავსტრიის მხრიდან, — შეიძლება მივაღწიოთ ვაჭრობის მნიშვნელოვან გაფართოებას ჩვენს ქვეყნებს შორის. ავსტრიის მთავრობამაც, საქმიანი წრეების წარმომადგენლებმაც დიდი ინტერესი გამოიჩინეს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის განვითარებისადმი, მაგრამ ამასთან უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნების ეკონომიკა სხვადასხვა საფუძველზე ვითარდება.

საბჭოთა კავშირის სოციალისტურ ეკონომიკას განსაზღვრავს გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონი. ჩვენს საქმიანობაში, როგორც დღეს, ისე მომავალში, გვაქვს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განუხრელი აღმავლობის ნათელი პერსპექტივა, რასაც გეგმები განსაზღვრავენ. ჩვენში არ არის და არც შეიძლება იყოს კრიზისები ან წარმოების დაქვეითება, რაც გარდუვალია კაპიტალიზმის პირობებში. როცა ჩვენ ვსაზღვრავთ ჩვენი ეკონომიკის განვითარების საფუძვლებს რაღაც პერიოდისათვის, ვითვალისწინებთ, თუ რა პროდუქცია, რა სახეობათა ნედლეული, რამდენი, სად, სახელდობრ რომელ ეკონომიურ რაიონში უფრო მიზანშეწონილია ვაწარმოოთ.

კაპიტალისტურ მეურნეობას საფუძვლად უდევს სულ სხვა პრინციპები, მისთვის დამახასიათებელია წარმოების ანარქიის მოვლენები, მისი რეგულირება ხდება სხვა კანონებით. ეკონომიკა იქ განიცდის ხან აღმავლობას, ხან დაქვეითებასა და კრიზისებს. ყოველივე ეს დამახასიათებელია საზოგადოებისათვის, რომელსაც წეწავენ ანტაგონისტური წინააღმდეგობანი. სწორედ ეს განსაზღვრავს უთანაბრობას და ნახტომისებურობას კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარებაში.

გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის უპირატესობანი შესაძლებლობას იძლევიან უფრო სრულად და გონივრულად გამოვიყენოთ უახლესი მეცნიერული აღმოჩენები და გამოგონებანი, უზრუნველვყოთ მეურნეობის ყველა დარგის გეგმაზომიერი განვითარება, ავიდეთ სულ უფრო მაღლა მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა სრულ დაკმაყოფილებამდე. სოციალიზმის ეს უპირატესობანი შესაძლებლობას აძლევენ აგრეთვე ჩვენს ქვეყანას ყოველი ღონისძიებით გააფართოოს ეკონომიური ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან.

ავსტრია სხვა მდგომარეობაშია. ეს კაპიტალისტური სახელმწიფოა, და მისი ეკონომიკის განვითარება არ ექვემდებარება ერთიან ცენტრს, მთავრობას. თვითეული კაპიტალისტი და თვითეული ფირმა ისახავს საკუთარ მიზნებს, რომლებიც ხშირად ეწინააღმდეგებიან სახელმწიფო ინტერესებს. ავსტრიის ბევრ მეწარმეს მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა აქვს სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფირმებთან და არა სურთ ამ ურთიერთობის შესუსტება, თუმცა ეს ზოგჯერ არ შეესაბამება მთლიანად სახელმწიფოს ინტერესებს. მოქმედებენ სხვა მიზეზებიც, რომელთა შესახებ დაწვრილებით ლაპარაკი ახლა საჭირო არ არის; მე ვფიქრობ, რომ თქვენ თვითონ მიხვდებით.

ვენაში მოლაპარაკების დროს ჩვენ განვაცხადეთ, — და ამას ახლა ვადასტურებ მოსკოვში, — რომ ჩვენი ქვეყანა დგას ავსტრიასთან სავაჭრო, ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის უაღრესად ფართოდ განვითარების პოზიციებზე. ამ ურთიერთობის განვითარება დამოკიდებული იქნება ავსტრიის მხარის სურვილსა და შესაძლებლობებზე. ჩვენ შეგვიძლია მნიშვნელოვნად გავაფართოოთ ვაჭრობა ავსტრიასთან, მაგალითად, რკინის მადნის მიწოდების გადიდებით. ჩვენი რესურსები ამ მხრივ ახლა გაფართოებულია კურსკის მაგნიტური ანომალიის რაიონში რკინის მადნის უდიდესი მარაგის დამუშავების დაწყებასთან დაკავშირებით. ახლა ჩვენ შეგვიძლია მეტი მადანი გამოვყოთ ავსტრიაში დუნაით ექსპორტისათვის. ამავე იაფი სანაოსნო გზით ჩვენ შეგვიძლია გავგზავნოთ კოქსი და ავსტრიის მეურნეობისათვის საჭირო სხვა სახეობათა ნედლეული და პროდუქცია.

თავის მხრივ საბჭოთა კავშირი მზად არის მეტი საქონელი იყიდოს ავსტრიაში. ჩვენ შემოგვთავაზეს, მაგალითად, ვიყიდოთ სამომხმარებლო ხასიათის ნაწარმი: ტექსტილი, მზა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი. ჩვენ ხალისით ვიყიდით ავსტრიისაგან ამ საქონელს იმ პირობით, თუ ავსტრიის მთავრობა გამონახავს შესაძლებლობას იყიდოს საბჭოთა კავშირში ასეთივე თანხის მანქანები ან ნედლეული.

საზღვარგარეთ ყოფნის დროს მე არაერთხელ მითქვამს, რომ საბჭოთა კავშირი ვაჭრობს პრინციპით — საქონელი საქონელში. ჩვენ იძულებული ვართ ასე მოვიქცეთ იმიტომ, რომ არა გვაქვს დოლარების, გირვანქა სტერლინგების ან სხვა უცხო ვალუტის მარაგი. მაგრამ ჩვენ გვაქვს ჩვენი მუშებისა და კოლმეურნეების შრომით, მთელი საბჭოთა ხალხის შრომით შექმნილი უდიდესი ფასეულობანი. ეს მთავარი კაპიტალია.

ავსტრიისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნებისათვის ხელსაყრელია განავითარონ ეკონომიური ურთიერთობა საბჭოთა ქვეყანასთან, რომლის ეკონომიკისათვის უცხოა დაქვეითება და კრიზისები და რომელსაც შეუძლია მუდამ უზრუნველყოს მყარი და დიდი შეკვეთები. როცა იქნება მუდმივი და დიდი საბჭოთა შეკვეთები, სამუშაო ექნებათ ავსტრიელ მუშებს, არ იქნება უმუშევრობა. ეს, სხვათა შორის, კარგად ესმით ავსტრიელ მუშებს. ამიტომ სადაც კი ვიყავით ავსტრიაში, მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები და ცალკეული მუშები მუდამ ამბობდნენ, რომ ისინი დაინტერესებული არიან საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის გაფართოებით, მათი საწარმოებისათვის საბჭოთა შეკვეთების მიღებით.

მუშები ხომ ვაჭრები არ არიან, ისინი მატერიალურ ფასეულობათა შემქმნელნი არიან, და კარგად ესმით, რომ ჩვენს ქვეყანასთან ვაჭრობა ნიშნავს უფრო სრულ დასაქმებას და მტკიცე გარანტიას უმუშევრობისაგან. ამრიგად, ჩვენი ეკონომიური თანამშრომლობა შეესაბამება როგორც საბჭოთა ადამიანების, ისე ავსტრიის მშრომელთა ინტერესებს.

ავსტრიის ბურჟუაზიულ პრესაში და სოციალისტური პარტიის პრესის ორგანოებშიც კი გაისმის ხმები, საჭიროა საბჭოთა კავშირთან ეკონომიური ურთიერთობის განვითარების შენელებაო. ამას იმით ასაბუთებენ, რომ თუ ავსტრია მჭიდრო კავშირს დაამყარებს საბჭოთა კავშირთან, ავსტრიის ეკონომიკა საბჭოთა ეკონომიკაზე დამოკიდებული გახდებაო.

მაგრამ ასე ამბობენ, ერთი მხრივ, ისინი, ვისაც დაშინებულია სოციალიზმით, ეშინია მისი სწრაფი ზრდისა და გავლენისა, ხოლო, მეორე მხრივ, ისეთი ადამიანები, რომლებიც მაამებლად ლაქიობენ კაპიტალიზმის წინაშე და კვლავ გამოაქვთ გაცვეთილი „კომუნისტური საფრთხობელა".

მაგრამ ცხოვრება მკაცრი მასწავლებელია, იგი ასწავლის ყველას, ჭკვიანებს აძლევს სასარგებლო გაკვეთილებს, ხოლო ბეცებს აიძულებს ხელახლა ისწავლონ, აიძულებს მათ, ბოლოს და ბოლოს, შეიგნონ, რა არის ხელსაყრელი და რა არის გონივრული.

ავსტრიის მრეწველობის განვითარებაში არის დიდი საწარმოო და ტექნიკური მიღწევები, რომლებიც ყურადღების ღირსია. ჩვენზე, მაგალითად, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა კონვერტერებში ჟანგბადის ბერვით ფოლადის გამოდნობის ახალმა წესმა. ჩვენ ვნახეთ ასეთი დნობა, რამაც დაახლოებით 30 წუთს გასტანა. ქარხნის სპეციალისტები ამბობდნენ, რომ მარტენის პროცესთან შედარებით ახალი მეთოდის დროს შრომის ნაყოფიერება მნიშვნელოვნად იზრდება. საჭიროა ახლა უფრო ენერგიულად შევისწავლოთ ეს გამოცდილება, რათა ან შევიძინოთ პატენტი ასეთი მეთოდით ფოლადის წარმოებაზე, ანდა, რაც კიდევ უკეთესია, მივცეთ ავსტრიელებს ჩვენი მეტალურგიული ქარხნებისათვის საკონვერტერო მოწყობილობის წარმოების შეკვეთა. ერთი სიტყვით, საჭიროა უფრო სწრაფად გადმოვიღოთ ეს პროგრესული მეთოდი ჩვენს მრეწველობაში.

პრესიდან თქვენ ალბათ უკვე იცით, რომ ჩვენ შევხვდით აგრეთვე ავსტრიის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს. ჩვენ დავრწმუნდით, რომ საქმიანი წრეების ბევრ თვალსაჩინო წარმომადგენელს სწორად ესმის ჩვენს ქვეყანასთან ეკონომიური ურთიერთობის მნიშვნელობა და ინტერესს იჩენს ამ ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისადმი.

ახლა მინდა გაგიზიაროთ შთაბეჭდილებანი ავსტრიაში ჩვენი მოგზაურობის, მის ხალხთან ჩვენი შეხვედრების შესახებ.

ავსტრიელი ხალხი ყველგან, სადაც კი ვიყავით, განსაკუთრებული გულითადობით გვხვდებოდა. უნდა ვთქვა, რომ ავსტრიელი ხალხი დიდად აფასებს ჩვენს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას და მადლობას გვიხდის იმისათვის, რომ თანმიმდევრულად ვახორციელებთ ასეთ პოლიტიკას. ძალიან სასიამოვნო იყო გვენახა და მოგვესმინა, თუ რა დიდად აფასებენ ჩვენს ბრძოლას მშვიდობისათვის ავსტრიის მუშები, გლეხები და ინტელიგენცია.

უნდა შევნიშნო, რომ საქმიანი წრეების წარმომადგენლებიც და წვრილი ბურჟუაზიაც, რომლებიც დიდ შეშფოთებას იჩენენ საერთაშორისო ვითარების გამწვავების გამო, ჯეროვნად აფასებენ ჩვენი სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას.

და ყველა ამ განცხადებასა და საუბრებში განსაკუთრებით იგრძნობოდა, რომ ავსტრიელი ხალხი, იწონებს და მხარს უჭერს რა მშვიდობიანი თანაარსებობის ჩვენს პოლიტიკას, ჯეროვნად აფასებს ჩვენი ქვეყნის სიდიადეს, ჩვენი რევოლუციის მონაპოვრებს, ისტორიულ გამარჯვებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის ხალხებმა მოიპოვეს საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ეს იყო აღიარება და მოწონება საბჭოთა მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკისა და ამით ნებსით თუ უნებლიეთ აღიარება ჩვენი რევოლუციის, ჩვენი სოციალისტური სისტემის, ჩვენი იდეების სიდიადისა, რომელთა საფუძველზე მოკლე ისტორიულ ვადაში ასე ამაღლდა საბჭოთა ხალხის ეკონომიკა, კულტურა, ცხოვრების დონე და ჩვენი ქვეყნის ძლიერება. ყოველივე ეს შესაძლებლობას გვაძლევს წარმატებით განვახორციელოთ მშვიდობისმოყვარული ლენინური პოლიტიკა, რომელიც უპირისპირდება იმპერიალიზმის აგრესიულ პოლიტიკას.

საქმის არსის ასეთი, ზოგჯერ ბოლომდე შეუცნობელი, განუზოგადებელი, მაგრამ უკვე რეალური გაგება ცხადყოფს, საღ და ვის შეიძლება დავეყრდნოთ მშვიდობისათვის ბრძოლაში, ვინ არის ნამდვილად დაინტერესებული მშვიდობით, ვინ უჭერს ნამდვილად მხარს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას.

ის ფაქტი, რომ მსოფლიოს ხალხები, რომლებსაც მოსწონთ ჩვენი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, სულ უფრო მეტი სიმპათიით ეკიდებიან საბჭოთა სახელმწიფოს, საბჭოთა წყობილებას, ჩვენი პოლიტიკის უდიდესი მონაპოვარია, ჩვენი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების დიდი მონაპოვარია, მოძღვრებისა, რომლის საფუძველზე ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია ასეთ სიმაღლეს. ადამიანები, რომლებიც თავიანთ სიმპათიას გამოთქვამენ ჩვენდამი, ყოველთვის როდი იზიარებენ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას, ზოგიერთი მათგანი კი მის წინააღმდეგ ილაშქრებს. მაგრამ ასეთია ცხოვრების ლოგიკა: როცა ადამიანები ამბობენ, საბჭოთა კავშირი მშვიდობისათვის ბრძოლის იდეების მქადაგებელი და მატარებელიაო, ვერსად ვერ გაექცევიან იმ ფაქტს, რომ სწორედ მარქსიზმ-ლენინიზმი არის ღერძი, წარმმართველი თეორია, რომელიც საფუძვლად უდევს მთელ ჩვენს პოლიტიკას. ამაშია ჩვენი მოძღვრების სიდიადე და ძალა!

ახლა საბჭოთა კავშირისა და ყველა სოციალისტური ქვეყნის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის მეოხებით მთელი მსოფლიოს ხალხები წარმოდგენას მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, მშვი-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(გაგრძელება)

დობისათვის ბრძოლაზე სამართლიანად აკავშირებენ კომუნიზმთან. მშვიდობისათვის ბრძოლა, რომელსაც საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ქვეყნები ეწევიან, ფაქტიურად ასეულ მილიონობით ადამიანის გონებაში ასოციაციით უკავშირდება კომუნიზმს. და, პირიქით, წარმოდგენა აგრესიაზე, ომზე მათს შეგნებაში ასოციაციით უკავშირდება იმპერიალიზმს. სადაც სოციალიზმმა გაიმარჯვა, იქ გაიმარჯვა მშვიდობის იდეებმა, მშვიდობიანი თანაარსებობის იდეებმა. იქ კი, სადაც თავისი პოზიციები შეინარჩუნა კაპიტალიზმმა, — და უწინარეს ყოვლისა ყველაზე კლასიკურ იმპერიალისტურ ქვეყანაში — ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინერგება ომის, გამალებული შეიარაღების, აგრესიის იდეები. ხალხები ხედავენ ამას, და ისინი აკეთებენ თავიანთ დასკვნებს.

ხალხების სიმპათია, მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ჩვენი ბრძოლის მხარდაჭერა დიდი ძალაა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის და, მაშასადამე, მშვიდობისათვის, ხოლო თუ მშვიდობისათვის, მაშასადამე, სოციალიზმისათვის ბრძოლაში! სოციალიზმისათვის ბრძოლის დროშით ირაზმებიან ხალხები. ადამიანები, რომლებიც ჯერ ვერ შეგუებიან ჩვენს მარქსისტულ-ლენინურ იდეებს, მშვიდობისათვის ბრძოლის საკითხებში თავიანთ ღონისძიებებს უერთებენ ჩვენს ღონისძიებებს.

ჩვენ თავს არ ვახვევთ მათ ჩვენს იდეებს, არ ვეწევით მათ კომუნისტთა რიგებში. როგორც უკვე ვთქვი ავსტრიაში ჩვენი მოგზაურობის დროს, ხომ არ შეიძლება ადამიანი ცემით შეაგდო სამოთხეში. ჩვენ საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკით, ცოცხალი გამოცდილებით დავამტკიცებთ სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალისტურის წინაშე. ამავე დროს განვაგრძობთ ბრძოლას, რათა შევაკავშიროთ ყველა პატიოსანი ადამიანი ომის წინააღმდეგ, მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლის დროშის ქვეშ. და ეს შეკავშირება მხოლოდ სარგებლობას მოუტანს მუშათა კლასისა და მთელი მშრომელი ხალხის დიად საქმეს. დადგება დრო და ყველა ადამიანი შეიგნებს, რომ კომუნიზმი არის მშვიდობა, ხალხთა მეგობრობა და ძმობა. და მაშინ ისინი თვითონ უთუოდ და უყოყმანოდ გააკეთებენ არჩევანს.

ავსტრიელი ხალხის დამოკიდებულება ჩვენდამი, მე უკვე ვთქვი, გულთბილი და მეგობრული იყო. მაგრამ, ამხანაგებო, აი რა უნდა გავითვალისწინოთ. კაპიტალისტურ ქვეყნებში, როგორც ცნობილია, ადამიანები სულ სხვა იდეებით იზრდებიან, ვიდრე ჩვენში. ჩვენში ხომ ხალხი აღზრდილია სხვა ხალხებისადმი მეგობრობისა და პატივისცემის სულისკვეთებით, აღზრდილია ყველა ქვეყანასთან, მიუხედავად მათი სოციალური სისტემისა, მშვიდობიანი თანაარსებობის და მშვიდობის შენარჩუნების იდეებით. ჩვენ ყველანი ასეთები ვართ! და თუ ჩვენ საკუთარი საბჭოთა ადლით გავზომავთ კაპიტალისტური ქვეყნების ადამიანებს, ასეთ მიდგომას შეიძლება მცდარი დასკვნები მოჰყვეს. კაპიტალისტურ სამყაროში გარდუვალად იჩენს თავს მოვლენათა შეფასებაში სხვადასხვა კლასობრივი მიდგომა, არსებობს სხვადასხვა პოლიტიკური რწმენა.

საერთოდ, როგორც უკვე ვთქვი, კარგად გვხვდებოდნენ. შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ ძალიან კარგად! მაგრამ არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ, მაგალითად ის ფაქტი, რომ ავსტრიაში ჩვენი ჩასვლის წინ კათოლიკურმა ეკლესიამ მორწმუნეებს მიმართა მოწოდებით, რომ ისინი შეგვხვედროდნენ თავაზიანად, მაგრამ ცივად. ხოლო რას ნიშნავს კათოლიკური ეკლესია? ეს ავსტრიის პირობებში დიდი ძალაა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ავსტრიის მოსახლეობის ოთხმოცდაათი პროცენტი კათოლიკენი არიან, რომელნიც ჩვეულებისამებრ ემორჩილებიან ეკლესიას.

მაგრამ ამ შემთხვევაში, მიუხედავად მოძღვართა მოწოდებებისა, მათი სამწყსო... სწორად დავუსვი თუ არა, ამხანაგო მასწავლებლებო, მახვილი სიტყვა პასტვას (სამწყსო), პირველ მარცვალზე უნდა თუ მეორეზე? ვაღიარებ, თქვენს წინაშე რომ გამოვდივარ, ყოველთვის ვღელავ ხოლმე, რადგან ვიცი ჩემი ნაკლი ზოგიერთი სიტყვის წარმოთქმაში, მე ხომ ასეთი მკაცრი სამსჯავროს წინაშე ვდგავარ. ამიტომ ავანსად გთხოვთ, ასე ვთქვათ, ლმობიერებას. არ მინდა ჩემს მასწავლებლებს გადავაკისრო პასუხისმგებლობა. ჩემი მასწავლებლები ძალიან კარგი ადამიანები იყვნენ, განსაკუთრებით ერთი მასწავლებელი ქალი, რომელსაც ვერასოდეს დავივიწყებ, ეს იყო ლიდია მიხეილის ასული. იგი ყველ ღონეს ხმარობდა, რომ ჩვენ განათლებული ყოფილიყავით. მაგრამ ჩანს, იმ წრემ, რომელშიც მე ვცხოვრობდი, თავისი დაღი დამასვა. მაინც რომელ მარცვალზე დავუსვა მახვილი? მაშასადამე, მათი სამწყსო, როგორც წესი, ყურად არ იღებდა ამ მოწოდებას და უფრო მეტად იჩენდა რეალური ცხოვრების გაგებას, ვიდრე ისინი, რომლებსაც თავიანთი თავი მორწმუნე ადამიანთა სულიერ მამებად და მოძღვრებად მიაჩნიათ.

კომუნისტი
მე-2 გვერდი, კვირა, 10 ივლისი, 1960 წ.

მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი როდია. ძალიან უცნაურია, მაგრამ კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელებს ფაქტიურად შეუერთდა ავსტრიის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობაც. არ მინდა ვაწყენინო ამ პარტიას, — ჩვენ გვინდა კარგი ურთიერთობა გვქონდეს მასთან, — მაგრამ, როგორც რუსული ანდაზა ამბობს, „ლექსს სიტყვას ვერ გამოაკლებ".

სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელებმა აგრეთვე მოუწოდეს თავიანთ მიმდევრებს გამოეჩინათ ჩვენდამი „ცივი დამოკიდებულება". მართალია, ისინი უფრო ფრთხილად მოქმედებდნენ, ვიდრე ეკლესიის მსახურნი, — ისე, რომ არ დაეტოვებინათ სახელის გამტეხი კვალი.

მოწოდება, რომ მხოლოდ „თავაზიანად, მაგრამ ცივად" მოგვეპყრობოდნენ, სოციალისტურმა პრესამ გამოაქვეყნა არა ამ პარტიის ხელმძღვანელთა სახელით, არამედ თითქოს ანონიმურად — თვით პრესის სახელით.

მაგრამ ეს ტლანქი მანევრია. ყველამ იცის, რომ სოციალისტური პარტიის პრესა ვერასოდეს ვერ იზამს იმას, რაც ამ პარტიის ხელმძღვანელობის მითითებებს ეწინააღმდეგება.

ამრიგად, ავსტრიის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელებმაც მოუწოდეს ხალხს „არ გამოეჩინა გულთბილობა" საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებისადმი, რომლებიც ავსტრიაში სახელმწიფო ვიზიტით ჩავიდნენ. ამავე დროს საჭიროა ვთქვათ, რომ სოციალისტური პარტიის გავლენა ამ ქვეყანაში საკმაოდ დიდია: პარლამენტში მას ადგილების თითქმის ნახევარი აქვს.

და კვლავ, მიუხედავად ამისა, სოციალისტური პარტიის რიგითი წევრები — მუშები და მოსამსახურეები ნამდვილად მეგობრულად, მე ვიტყოდი ძმურად გვხვდებოდნენ. ერთსულოვნად მოგვესალმებოდნენ სოციალისტებიც, კომუნისტებიც, სხვა პარტიების წარმომადგენლებიც და უპარტიოებიც — ყველა ისინი ლაპარაკობდნენ მშვიდობასა და მეგობრობაზე.

გამოდის, რომ ვერც კათოლიკურმა ეკლესიამ, ვერც მისებურად მოქადაგე „სოციალისტურმა პრესამ" ვერ აიძულეს ავსტრიელი ხალხი მოეწყო ჩვენთვის, როგორც ისინი ამბობდნენ, „ცივი" შეხვედრა.

საგულისხმოა, რომ ბურჟუაზიული გაზეთები, რომლებმაც ავანსად ირწმუნეს ამ მოწოდებათა ძალა, ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ისინი პირველი დღიდანვე გაიძახოდნენ: „ცივი შეხვედრა", „გულცივი შეხვედრაო", ხოლო მკითხველი, ამ სათაურებს ქვეშ მოთავსებულ ფოტოსურათებს რომ აკვირდებოდა, იცინოდა. იგი ხედავდა უამრავ ხალხს, მისასალმებელ პლაკატებს, გულითად ღიმილს იმათ სახეზე, ვინც ჩვენ გვხვდებოდა.

არასოდეს არ დამავიწყდება, მაგალითად, გრძნობიერი შეხვედრა გრაცში, სადაც მრავალმა ათასმა ადამიანმა აავსო ქუჩები და უცბად გაარღვია პოლიციის ღობურები, რომელიც ამაოდ ცდილობდა დაეცვა წესრიგი. ათასობით ადამიანი მოაწყდა იმ სასტუმროს წინ მდებარე მოედანს, სადაც ჩვენ გავჩერდით. გაისმოდა საბჭოთა კავშირისადმი მისასალმებელი შეძახილები.

ხოლო თუ ზოგან იყვნენ ცალკეული ადამიანები, რომლებიც პირქუშად გვხვდებოდნენ, ეს სასარგებლოც კი იყო, რადგან მოგვაგონებდა, რომ ჩვენი ვიზიტი საპატიო სტუმრების ტურისტული მოგზაურობა კი არ იყო, არამედ მშვიდობისათვის, თანამედროვეობის პროგრესული იდეებისათვის აქტიური ბრძოლის ერთ-ერთ მომენტს წარმოადგენდა, ხოლო ბრძოლაში ყოველთვის არიან არა მარტო მოკავშირენი, არამედ მოწინააღმდეგენიც, ამიტომაც ჰქვია ამას ბრძოლა! შევნიშნავ, რომ ერთხელ, როცა ჩვენ ავსტრიაში ავტობუსით მივდიოდით, გზისპირას ავტომანქანის მახლობლად იდგა ხანშიშესულ ადამიანთა წყვილი. ჩანს, ისინი დასავლეთგერმანელი ტურისტები იყვნენ, ისინი ავსტრიაში ბევრნი არიან. როცა მამაკაცმა მე დამინახა, საკმაოდ მძიმე მუშტი მომიღირა. მე განვიზრახე, რა პასუხიც უნდა გამეცა მისთვის, შეუძლებელია გვერდი აუარო და ყურადღება არ მიაქციო. მეც აგრეთვე მუშტი ვუჩვენე. დარწმუნებული ვარ, რომ ეს წყვილი დასავლეთ გერმანიიდან იყო ჩამოსული. ჩანს, ის მამაკაცი ფაშისტურ ჯარებში იყო და სტალინგრადიდან თავგატეხილი გაიქცა და ახლა არ შეუძლია დაივიწყოს ეს. შესაძლოა, იგი მანშტაინის ჯარში მსახურობდა და როდიონ იაკობის-ძე მალინოვსკიმ ვერ მოუღო ბოლო იქ.

სამაგიეროდ რა შესანიშნავი მოკავშირენი — ჩვენი ბრძოლის მონაწილენი გავიცანით ჩვენ ამ რვა დღეში! უნდა გითხრათ, რომ ავსტრიაში ჩვენი ყოფნის პროგრამა ძალიან დაძაბული იყო და, რა თქმა უნდა, ფიზიკური შესაძლებლობა არ გვქონდა წავსულიყავით ყველგან, სადაც მიგვიწვიეს.

ჩვენ ბოდიშს და სალამს ვუთვლიდით იმ ფაბრიკა-ქარხნების მუშებს, სადაც ვერ წავედით, მაგრამ აშკარა იყო, რომ ეს მათ არ აკმაყოფილებდა. და აი ზოგიერთ ქალაქში ჩვენ მოგვაშურა ბევრმა დელეგაციამ—მაღაროელთა, რკინიგზელთა, მეფოლადეთა, მანქანათმშენებელთა, ქიმიკოსთა, ტრამვაის მუშაკთა და სხვა დელეგაციებმა.

ყველა მათგანმა მთხოვეს გადავცე ჩვენს მუშებს, გლეხებს, საბჭოთა ინტელიგენციის მათი გულითადი, გულწრფელი სალამი და მხურვალე მადლობა ყოველივე იმისათვის, რასაც საბჭოთა კავშირი აკეთებს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. მე ეს აღვუთქვი მათ, და ახლა სიამოვნებით ვიყენებ თქვენი ყრილობის ამ მაღალ ტრიბუნას, რათა შევასრულო ავსტრიელ მშრომელთა დავალება.

ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ჩვენი მხრივ საბჭოთა მუშებისა და ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ყველა მშრომელის სახელით ამ ტრიბუნიდან საპასუხოდ ვიტყვი, რომ ჩვენი ხალხი და ჩვენი მთავრობა კვლავაც თანმიმდევრულად და მტკიცედ დაიცავენ ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის საქმეს, უაღრესად გადამწყვეტ წინააღმდეგობას გაუწევენ იმპერიალისტებს, ომის გამჩაღებლების ხრიკებს!

მუშათა დელეგაციებთან, რომლებიც ჩვენთან შესახვედრად მოდიოდნენ, ჩვენ მეგობრული გულახდილი საუბრები გვქონდა. ჩვენი თანამოსაუბრენი იმ დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ ჩვენი საერთო მუშათა საქმე გაიმარჯვებს და რომ თავიანთი უფლებებისათვის, თავიანთი მიზნების მიღწევისათვის მუშათა ბრძოლის წარმატების საწინდარია ერთიანობა.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას, აქ ვლინდებოდა სრული ერთსულოვნება. არა მარტო კომუნისტები, არამედ სოციალისტებიც, სხვა პარტიების წევრი მუშები იჩენდნენ იმის სწორ გაგებას, რომ აუცილებლად საჭიროა სულ უფრო განმტკიცდეს ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობა და განვითარდეს ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა. ამას ჩვენ დიდად ვაფასებთ და განსაკუთრებით აღვნიშნავთ.

არ შეიძლება სიამოვნებით არ ვილაპარაკოთ ჩვენს შეხვედრაზე ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე იყვნენ მუშები, გლეხები, საქმიანი წრეებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ ამ შეხვედრას ესწრებოდა ფედერალური კანცლერი ბატონი რააბი. თქვენთვის საიდუმლოება არ არის, რომ დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში საზოგადოებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირთან მეგობრობისათვის იბრძვიან, მტრულად ეპყრობიან ხელისუფალნი. ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგალითად, დასავლეთ გერმანიაში, ასეთი საზოგადოებანი გამოცხადებულია „კანონის საწინააღმდეგოდ", მათ სდევნიან, ხოლო ხელმძღვანელებს საპყრობილეებში ათავსებენ.

ის ფაქტი, რომ ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოება არა მარტო არ იდევნება, არამედ, პირიქით, მთავრობის მხარდაჭერითა და ყურადღებით სარგებლობს, დამაჯერებლად მოწმობს, რომ ავსტრია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისადმი მისწრაფება იქ დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საქმეა.

ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების კრება მიმდინარეობდა ყოფილ მეფის სასახლეში — ჰოფბურგში. ხალხით გაჭედილი იყო არა მარტო ის დარბაზი, სადაც სხდომა მიმდინარეობდა, არამედ ყველა სხვა დარბაზიცა და დერეფანიც, სადაც ხალხი რადიოთი ისმენდა სიტყვებს. დიდძალი ხალხი იყო მოედანზე სასახლის წინ, ისმენდა იმ დარბაზიდან რადიოთი გადაცემულ სიტყვებს.

ეს იყო მკაფიო და შესანიშნავი დემონსტრაცია ავსტრიელი ხალხის გულწრფელი მეგობრული გრძნობებისა საბჭოთა ხალხისადმი.

ჩვენ ვიყავით ყოფილ ჰიტლერულ მაუტჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში. ეს საშინელი ადგილია, სადაც მოსპეს 120 ათასზე მეტი ანტიფაშისტი. XX საუკუნეში, მეცნიერების, კულტურის განვითარების საუკუნეში გერმანელი ფაშისტები — ეს „კულტურული ბარბაროსები" ამ ბანაკში, ისევე როგორც სიკვდილის სხვა ბანაკებში, სჩადიოდნენ ისეთ მასობრივ მხეცობას, როგორიც შუა საუკუნეებსაც არ ახსოვს.

ჩვენ განვიცადეთ მწუხარების გრძნობა და იმავე დროს სიამაყის გრძნობა, რომ ათეულ ათასობით საბჭოთა ადამიანი მოწამებრივი სიკვდილით დაიღუპა ამ საკონცენტრაციო ბანაკში, მაგრამ ქედი არ მოუხრია ჰიტლერელი ჯალათების წინაშე. მაუტჰაუზენში დგას იქ დაღუპული ჩვენი თანამემამულეების ძეგლი, ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნების იმ პირთა ძეგლები, რომლებიც ფაშიზმის მსხვერპლნი გახდნენ.

ცალკეა ძეგლი საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ კარბიშევისა, რომელიც ტყვედ წაიყვანეს ომის დასაწყისში. ფაშისტებს უნდოდათ ეიძულებინათ კარბიშევი ეღალატნა სამშობლოსათვის. მაგრამ ამ საბჭოთა პატრიოტმა ქედი არ მოიხარა კაცობრიობის მტრების — ფაშისტების წინაშე, არ ჩაიდინა გამცემლობა. მან წამებით სიკვდილი ამჯობინა — იგი გაყინეს წყლის დასხმით ბანაკის ეზოში.

ამ ბანაკის ყოფილ ტყვეებთან შეხვედრა გულის სიღრმემდე ჩაგვწვდა. შეხვედრას ესწრებოდნენ სხვადასხვა კლასის, სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური შეხედულების ადამიანები. იქ გამოდიოდნენ ავსტრიელი სახელმწიფო მოღვაწენიც. ისინი აღშფოთებით ლაპარაკობდნენ მაუტჰაუზენში ჩადენილი საშინელი საქმეების შესახებ. ისინი ამას განსაკუთრებული გრძნობით ამბობდნენ, რადგან თვითონ იყვნენ ამ საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეები. და მე ვგრძნობდი, რომ მათსავით განიცდიდა მღელვარებას ყველა, ვინც ამ გამოსვლებს ისმენდა. მაგრამ ავსტრიელმა მოღვაწეებმა ყველაფერი როდი თქვეს. მათ არ დაუსახელებიათ ამ დანაშაულობათა ჩამდენი პირები. ისინი ლაპარაკობდნენ რაღაც უსახო ტირანიის შესახებ, არც კი უხსენებიათ ფაშიზმი და ნაციზმი, არაფერი უთქვამთ გერმანული იმპერიალიზმის აღორძინების საშიშროების შესახებ.

თქვენთვის, რა თქმა უნდა, გასაგებია, რომ ჩემს გამოსვლაში მოვლენებს თავისი სახელი ვუწოდე, დავგმე ფაშიზმი და მილიტარიზმი და პირდაპირ ვთქვი, რომ ნაცისტებს ახლა მფარველობას უწევს ადენაუერის მთავრობა.

დასავლეთ გერმანიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის პრესა ცდილობდა ხმაური აეტეხა ჩემი ამ სიტყვების გამო, ამტკიცებდა, რომ ჩვენ თითქოს სიძნელეებს ვუქმნიდით ნეიტრალურ ავსტრიას, როცა დასავლეთ გერმანიაზე ვლაპარაკობდით.

მაგრამ ყველასთვის ნათელია, რომ როცა ვიძლევით გაფრთხილებას დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმისა და ფაშიზმის აღორძინების საფრთხის შესახებ, ჩვენ ამ სახელმწიფოს ხალხს კი არ ვკიცხავთ. ჩვენ სამარცხვინო ბოძზე ვაკრავთ და კვლავაც გავაკრავთ ფაშისტებს, ჩვენი დროის ამ ბარბაროსებს, რომლებმაც საშინელი ბოროტმოქმედებანი ჩაიდინეს და შეუძლიათ კვლავაც ჩაიდინონ ასეთივე დანაშაულობანი, თუ ისინი დროზე არ შევაჩერეთ.

იუწყებიან, რომ დასავლეთ გერმანიის მთავრობამ ავსტრიის მთავრობას ოფიციალური წარდგინება გაუკეთა ჩემი გამოსვლების გამო ავსტრიაში, რომლებშიც ვახსენე კანცლერი ადენაუერი, რომელიც ხელს აფარებს ობერლენდერის ტიპის დამნაშავეებს. მაგრამ ვის შეუძლია უარყოს, რომ ეს სს-ელი უკანასკნელ დრომდე იყო ადენაუერის მთავრობის მინისტრი და გადადგა მხოლოდ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მოთხოვნით? მისთვის მსჯავრი კი არ დაუდვიათ და არც დაუთხოვნიათ, არამედ პენსია დაუნიშნეს. ეს ხომ ჯილდოა საშინელ ბოროტმოქმედებათათვის, რომლებიც ამ ჯალათმა კაცობრიობის წინაშე ჩაიდინა! და ამის შემდეგ ადენაუერი მიამიტობას იჩენს და აღშფოთებულია იმის გამო, რომ მის სახელს გერმანულ ფაშიზმს უკავშირებენ.

ვის დააჯერებს მტკიცება, თითქოს ის, რომ ჩვენ ნაცისტ ბარბაროსებს ვგმობთ, იმ ქვეყნის ნეიტრალიტეტის უპატივცემლობა იყოს, რომლის ტერიტორიაზეც ჩვენ ვიმყოფებოდით. ეს მეტად თავისებური გაგებაა ნეიტრალიტეტისა.

განა შეიძლება ნეიტრალიტეტი დავიცვათ ფაშიზმის დაგმობის საკითხში? ჩვენ არასოდეს არ მიგვიცია და არც არასოდეს მივცემთ ვინმეს იმის პირობას, რომ ხელს ავიღებთ ფაშიზმის კრიტიკაზე. ჩვენ კვლავაც გვეძულება ეს სამარცხვინო მოვლენა, სანამ ცოცხალი ვიქნებით, და ამ სიძულვილს ახალგაზრდა თაობას გადავცემთ.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა პროტესტი განაცხადა ავსტრიაში ჩემი გამოსვლის წინააღმდეგ იმ ზოგიერთ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც გამოვთქვი ამერიკის საგარეო პოლიტიკის ჩაშლის შესახებ. მაგრამ ამ ჩაშლის შესახებ მარტო ჩვენ როდი ვლაპარაკობთ, ამაზე აშკარად ლაპარაკობენ თვითონ ამერიკელები, მათ შორის ისეთი თვალსაჩინო მოღვაწეებიც, როგორიც არის სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ფულბრაიტი.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს არ მოეწონა აგრეთვე ის, რაც მე ვთქვი ამერიკის სამხედრო ბაზებზე იტალიაში, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ არის მომართული.

მაგრამ ეს ხომ ფაქტის კონსტანტაცია იყო!

იქნებ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უკვე მოახდინა ამ ბაზების ლიკვიდაცია? თუ ეს ასეა, თუ ეს ბაზები იქ აღარ არის, ჩვენ სიამოვნებით მზად ვართ ბოდიში მოვიხადოთ. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ბოდიშის მოხდა არ დაგვჭირდება, იმიტომ რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არათუ არ მოუხდენია სხვის ტერიტორიებზე თავისი ბაზების ლიკვიდაცია, არამედ მიიღო ზომები მათი განმტკიცებისათვის.

სახელმწიფო დეპარტამენტის ახალი განცხადება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პოლიტიკა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ, აგრესიულია.

„ძალის პოზიციის" პოლიტიკის ზოგიერთი თაყვანისმცემელი გვარწმუნებს, რომ აგრესიულ სამხედრო ბლოკებში ქვეყნების მონაწილეობა რაღაც უპირატესობას ანიჭებს ამ ქვეყნებს იმ სახელმწიფოებთან შედარებით, რომლებიც არ მონაწილეობენ აგრესიულ ბლოკებში, თავიანთი უშიშროების მეტ რწმენას აძლევს მათ.

მაგრამ აი ჩვენ ვიყავით ავსტრიაში, რომელიც ნეიტრალიტეტის პოლიტიკას იცავს. მის ტერიტორიაზე, არ არის უცხოეთის სამხედრო ბაზები. შეადარეთ იგი, მაგალითად, ნორვეგიის, იტალიის ან იაპონიის, რომელთა ტერიტორიაზე აგებულია უცხოეთის სამხედრო ბაზები, სადაც თავშესაფარს პოულობენ ამერიკის ჯაშუშური თვითმფრინავები და აგრესიის სხვა საშუალებანი.

განა ავსტრია თავს ამ ქვეყნებზე უფრო ცუდად გრძნობს? ყველასთვის ნათელია, რომ ავსტრიელი ხალხი უფრო მშვიდად ცხოვრობს. ადამიანები იქ წვებიან და იძინებენ, ამასთან როდი ფიქრობენ, რომ მათი სახლების თავზე დაფრინავენ უცხო ქვეყნების თვითმფრინავები, აღჭურვილნი ატომური და წყალბადის ბომბებით, რომლებიც შეიძლება შემთხვევით ან არა შემთხვევით თავს დაატყდეს ქალაქებსა და სოფლებს და ყველაფერი ფერფლად აქციოს.

ცხოვრება ფრიად დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ რომელი პოლიტიკა აძლევს ხალხს მეტ რწმენასა და სიმშვიდეს: აგრესიულ ბლოკებში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკა, თუ ამ ბლოკებთან შეერთების პოლიტიკა. ყველასთვის, ვისაც შეუძლია ობიექტურად და ფხიზლად შეაფასოს ფაქტები, ნათელია, რომ აგრესიულ სამხედრო ბლოკებში მონაწილეობის მიუღებლობა თავისი უშიშროების მეტ რწმენას აძლევს ხალხებს.

ავსტრიის რესპუბლიკაში ჩვენი მოგზაურობა მთლიანად ნაკარნახევი იყო ხალხთა შორის მშვიდობისა და უკეთესი ურთიერთგაგების ინტერესებით. ჩვენ ისეთი არაფერი გვიქნია და არც ვაპირებდით გვექნა რაიმე, რაც ავსტრიის ინტერესების, მისი ნეიტრალური საგარეოპოლიტიკური კურსის ხასიათის საწინააღმდეგო იქნებოდა.

მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ გერმანიაში ყველას როდი მოეწონა, რომ ავსტრია სტუმართმოყვარულად გვხვდებოდა. ვაშინგტონიდან და ბონიდან გაისმა ბრაზიანი ხმები და ბრალდება ჩვენს მიმართ. საერთაშორისო სამართლის თვითმარქვია დამცველნი შეშფოთდნენ იმის გამო, რომ ხრუშჩოვი თავისი სიტყვებით ავსტრიის ნეიტრალიტეტს არღვევსო, პატარა ქვეყნების მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას სწორად არ ახასიათებსო.

საჭირო არ არის ამ თავხედურ განცხადებათა უარყოფა, ცხადია, რომ ეს განცხადებანი ნაკარნახევია გაბრაზებით.

თუ ვილაპარაკებთ იმაზე, ნამდვილად ვინ ერევა სხვა ქვეყნების საქმეებში, ვინ ცდილობს თავს მოახვიოს ამ ქვეყნებს თავისი წესები, უნდა ვილაპარაკოთ სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებზე.

მინდა ყურადღება მივაპყრო იმას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ახლა, როგორც ჩანს, განზრახული აქვთ ვერაგული დანაშაულებრივი ნაბიჯები გადადგან კუბელი ხალხის წინააღმდეგ. პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები არ იყიდიან კუბისაგან შაქარს და ზოგიერთ სხვა საქონელს. ეს არის ეკონომიური ზეგავლენის მუქარა, იმის ცდა, რომ ჩაახშონ კუბის ეკონომიკა, რათა კუბელ ხალხს თავს მოახვიონ მონოპოლისტების ნება, რათა იპარპაშონ კუბაში, როგორც პარპაშობენ ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში, ძირს უთხრიან რა მათს ეკონომიკას.

ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა ხალხები ღარიბად ცხოვრობენ იმიტომ, რომ მდიდრად ცხოვრობენ ამერიკელი მონოპოლისტები, რომლებიც პირდაპირ პირში ლუკმას აცლიან ბავშვებს ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

რამდენიმე დღის წინათ ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორმა როკფელერმა აშკარად მოუწოდა გააჩაღონ ბრძოლა კუბის მთავრობისა და კუბელი ხალხის წინააღმდეგ. იგი იძლევა რჩევას დასახონ კუბის წინააღმდეგ მოქმედების კურსი, ეკონომიური ბლოკადის გზით გათელონ ხალხის მიერ არჩეული რეჟიმი.

როკფელერის, ამ მილიარდერის გამოსვლები ამერიკელ პოლიტიკოსთა აგრესიული მოქმედების აშკარა ნიმუშია, რომელნიც არ არიან მიჩვეული იმას, რომ ანგარიში გაუწიონ ხალხის ნებას.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების დიქტატის დრომ განვლო. საბჭოთა კავშირი ხმას იმაღლებს და დახმარების ხელს უწვდის კუბის ხალხს, რომელიც თავისი დამოუკიდებლობისათვის იბრძვის: ახლა ის დრო აღარ არის, როცა ყოფილი მეფის რუსეთის მარტო მუშათა კლასს, მშრომელ ხალხს ჰქონდა აღმართული ბრძოლის დროშა, როცა ჩვენს წინააღმდეგ მოაწყეს არა მარტო ეკონომიური ბლოკადა, არამედ სამხედრო ინტერვენციაც.

ახლა სულ სხვა დროა. მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს იმ სახელმწიფოებში, სადაც გაიმარჯვა მუშათა კლასმა და მშრომელმა ხალხმა, სადაც ფრიალებს სახელოვანი მარქსისტულ-ლენინური დროშა. მსოფლიო სოციალისტური ბანაკი ახლა ისე ძლიერია, როგორც არასოდეს არ ყოფილა. სოციალისტური ქვეყნების ხალხები დაეხმარებიან თავიანთ კუბელ ძმებს დაიცვან დამოუკიდებლობა, რათა ჩაიფუშოს ეკონომიური ბლოკადა, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ახლა კუბის წინააღმდეგ გამოაცხადეს.

და არა მარტო ჩვენ, სოციალისტური ბანაკის მშრომელებმა, არამედ ყველა ქვეყნის ხალხებმა უნდა გამოიჩინონ სიფხიზლე ამერიკელი იმპერიალისტების ხრიკების წინააღმდეგ.

ყველასათვის ნათელია, რომ ამერიკის მონოპოლიების ეკონომიური ბლოკადა შეიძლება იყოს კუბის წინააღმდეგ ინტერვენციის მომზადების დასაწყისი, ამიტომ ჩვენ უნდა ავიმაღლოთ ხმა კუბის დასაცავად და მივცეთ გაფრთხილება, რომ ახლა ის დრო აღარ არის, როცა იმპერიალისტები [illegible] ური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხები ჯანყდებიან და წარმატებით აწარმოებენ ბრძოლას სამარცხვინო კოლონიური უღლისაგან, შეერთებული შტატების იმპერიალისტების მიერ დამონებისაგან განთავისუფლებისათვის და ჩვენ ჩვენი მხრივ ყველაფერს გამოვიყენებთ იმისათვის, რომ მხარი დავუჭიროთ კუბას, მის [illegible]მაც ხალხს თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, რაც მან თავისი ეროვნული გმირის ფიდელ კასტროს ხელმძღვანელობით მოიპოვა.

სოციალისტური სახელმწიფოები და ყველა ხალხი, რომლებიც მშვიდობის პოზიციებზე დგანან, კუბის ხალხს მხარს დაუჭერენ მის სამართლიან ბრძოლაში, და ვერავინ ვერ დაიმონებს კუბელ ხალხს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ახლა შეერთებული შტატები ისეთ მიუწვდომელ მანძილზე აღარ არიან საბჭოთა კავშირისაგან, როგორც წინათ. ხატოვნად რომ ვთქვათ, თუ საჭირო გახდა, საბჭოთა არტილერისტებს შეუძლიათ თავიანთი რაკეტული ცეცხლით დაეხმარონ კუბელ ხალხს, თუ პენტაგონის აგრესიულმა ძალებმა გაბედეს ინტერვენციის დაწყება კუბის წინააღმდეგ. და ნუ დაივიწყებენ პენტაგონში, რომ, როგორც უკანასკნელმა გამოცდამ დაგვანახვა, ჩვენ გვაქვს რაკეტები, რომლებსაც აქვთ უნარი ზუსტად მოხვდნენ მოცემულ კვადრატში 13 ათას კილომეტრის მანძილზე. ეს, თუ გნებავთ, გაფრთხილებაა იმათთვის, ვისაც სურს საერთაშორისო საკითხები გადაჭრას ძალით და არა გონებით. (ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცეს ბარათი, მან წაიკითხა იგი, შემდეგ კი თქვა): აი მე გადმომცეს ბარათი, რომელშიც მწერენ, რომ მე, თითქოს, შემეშალა: რაკეტამ გაიფრინა არა 30, არამედ 13 ათასი კილომეტრი. მაგრამ ესეც საკმარისია. 30 ათასი კილომეტრი — რასაკვირველია შეცდომაა, და მსურს დავაზუსტო ციფრი, რადგანაც ჩემს გამოსვლას რადიოთი გადასცემენ და საჭიროა, რომ პენტაგონმა აღრიცხოს, რომ შეცდომა იყო. ჩვენ ჯერჯერობით 13 ათას კილომეტრზე გავისროლეთ, 30 ათას კილომეტრზე კი საჭირო არ არის. მართალს ვამბობ თუ არა, ამხანაგო მალინოვსკი? აი როდიონ იაკობის ძე მალინოვსკიც მიდასტურებს.

ამხანაგებო! ავსტრიაში მოგზაურობის შესახებ ამბის დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ იქ გვხვდებოდნენ და მოგვესალმებოდნენ არა მარტო ავსტრიის მცხოვრებნი. ავსტრიაში ბევრი ტურისტია, იქ ყოველწლიურად ათ მილიონამდე კაცი ჩადის. ტურისტებს შორის ძალიან ბევრია დასავლეთ გერმანიის მცხოვრები, და ხშირად ვხედავდით, რომ ტურისტები უერთდებოდნენ ავსტრიელებს, რათა კეთილი გრძნობები გამოეთქვათ საბჭოთა კავშირის მიმართ.

ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელება, მშვიდობა და მეგობრობა, თანაგრძნობით ეხმაურებიან მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ავსტრიაში ყოფნის დროს ჩვენ ვხვდებოდით არა მარტო ავსტრიელებს, არამედ დასავლეთ გერმანიისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეებსაც.

როგორც ხედავთ, ავსტრიაში მოგზაურობას თავისი დადებითი მნიშვნელობა აქვს. იგი ხელს უწყობს მშვიდობის საქმის განმტკიცებას. იგი ადასტურებს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის სასიცოცხლო ძალას. იმას, რომ სასარგებლოა სახელმწიფო მოღვაწეთა პირადი კონტაქტები ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

## ვისწავლოთ და აღვზარდოთ კომუნიზმის ღირსეული მშენებლები

ძვირფასო ამხანაგებო!

ძალიან სასიამოვნო და სასიხარულოა საზღვარგარეთ მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ საუცხოო საბჭოთა წრეში ყოფნა, თანაც ისეთ შესანიშნავ აუდიტორიაში, როგორიც თქვენი ყრილობაა.

ავსტრიაში, ისევე როგორც ბევრ ქვეყანაში, სადაც მომიხდა ყოფნა, ბევრ კითხვას მაძლევდნენ ჩვენი ქვეყნის ცხოვრების შესახებ. მე ვუამბობდი მათ იმ პრინციპებზე, რომლებითაც ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხი თავის ცხოვრებაში, ჩვენი ქვეყნის წარმატებებზე კომუნიზმის მშენებლობაში, იმ დიად ცვლილებებზე რომლებიც ჩვენს მშობლიურ ქვეყანაში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. უნდა დამეკმაყოფილებინა ზოგის ინტერესი, ზოგის ცნობისმოყვარეობა, გამეფანტა ზოგის ეჭვები. ისიც კი დამჭირდა, რომ ზოგიერთისთვის, როგორც იტყვიან, თავის ადგილას ჩამედგა მტრული პროპაგანდით გადაბრუნებული ტვინი.

უნდა გამოვტყდე, რომ ჩვენი ცხოვრების შესახებ თხრობა სასიხარულო საქმეა, რადგან ჩვენს მხარეზეა სიმართლე, იმის უცილობელი ფაქტები და დამაჯერებელი მაგალითები, თუ რა კოლოსალურად გაიზარდა საბჭოთა ქვეყანა, რომელიც ლატაკი და წერა-კითხვის უცოდინარი იყო და მიაღწია ახალ ცხოვრებას, კულტურული და მეცნიერული შემოქმედების მწვერვალებს.

განსაკუთრებით სასიამოვნოა ლაპარაკი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის წარმატებებზე. ყოველთვის, როცა ჩვენი ზრდის ციფრებს ასახელებ, ხედავ, როგორ განაცვიფრებენ ისინი კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს, რა სიხარულით უბრწყინავთ მათ თვალები. და მართლაც, ამხანაგებო, ჩვენში საქმე ძალიან კარგად მიდის. შვიდწლედის მეორე წლის გეგმა წარმატებით სრულდება, სახალხო მეურნეობის ყველა დარგი განუხრელად ვითარდება, ხალხის კეთილდღეობა უმჯობესდება.

ისეთ კვალიფიციურ აუდიტორიაში, როგორიც მასწავლებელთა ყრილობაა, რა თქმა უნდა, საჭირო არ არის დაწვრილებით შევეხოთ ჩვენი მეურნეობის განვითარების დამახასიათებელ მაჩვენებლებს.

მაგრამ რამდენადაც ჩვენმა ქვეყანამ განვლო კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი მიჯნა — დაამთავრა შვიდწლედის მეორე წლის პირველი ნახევარი — და სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებმა ეს-ეს არის შეაჯამეს გაწეული მუშაობის შედეგები, მინდა მოვიყვანო მხოლოდ რამდენიმე ციფრი.

წარმატებით გაანაღდეს თავიანთი ვალდებულებანი გეგმის ვადამდე შესრულების შესახებ სოციალისტური მრეწველობის მუშაკებმა. სამრეწველო პროდუქციის წარმოების ნახევარი წლის გეგმა

(დასასრული მე-8 გვერდზე)

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(დასასრული)

[illegible] შვიდწლედის ოთხი პროცენტის გადაჭარბებით. [illegible] შესრულებულია შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების გეგმა მრეწველობასა და მშენებლობაში.

სერიოზული წარმატებები აქვთ სოფლის მეურნეობის მუშაკებსაც. გადაჭარბებით შესრულებულია საგაზაფხულო თესვის გეგმა. მიმდინარე წლის მოსავლის ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის (საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების) ნათესი ფართობი 202,9 მილიონ ჰექტარს შეადგენს, შარშან კი 196,3 მილიონი ჰექტარი იყო. ამინდის პირობები მეტ წილ რაიონებში ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა განვითარებას, და მოსავალს კარგი პირი უჩანს. ასე, რომ გვეყოფა ნამცხვრისთვისაც და ხინკლისთვისაც. უკრაინელებს კი უნდა ვუთხრათ — ღვეზელიც შეიძლება მიირთვათ.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადიდდა 6,3 მილიონი სულით, აქედან ძროხისა — ორი მილიონი სულით; ღორის სულადობა ოთხნახევარი მილიონი სულით გადიდდა. ხორცის წარმოება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიზარდა 19 პროცენტით, ხორცის სახელმწიფო შესყიდვა — 17 პროცენტით. მიუხედავად სიძნელეებისა საკვების გამო, რაც დაკავშირებულია გაჭიანურებულ და ცივ გაზაფხულთან, რძის წარმოება და შესყიდვა შენარჩუნებულია შარშანდელ დონეზე. არახელსაყრელი იყო აპრილი და მაისი, ხოლო პირველ კვარტალსა და ივნისში რძის წარმოება და შესყიდვა შარშანდელთან შედარებით გადიდდა.

მატერიალურ წარმოებასა და კულტურულ მშენებლობაში კაპიტალდაბანდებათა მოცულობა 13 პროცენტით გადიდდა; ახალი საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემა გადიდდა 21 პროცენტით, ხოლო სკოლების მშენებლობა 30 პროცენტით.

გადაჭარბებით შესრულებულია საცალო საქონელბრუნვის გეგმა, ხოლო მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვა 9 პროცენტით გაიზარდა.

წლის პირველი ნახევრის დამლევისათვის შვიდი და ექვსი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანილია უკვე დაახლოებით 20 მილიონი მუშა და მოსამსახურე, ხოლო წლის დამლევისათვის, როგორც მოგეხსენებათ, შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადაყვანილ იქნება ყველა მუშა და მოსამსახურე.

მშრომელთა კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესების, ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების შედეგად საბჭოთა კავშირი კვლავ არის ქვეყანა, სადაც მოსახლეობის დიდი მატებაა, ხოლო სიკვდილიანობა ყველაზე დაბალია მსოფლიოში. ეს ჩვენი ხალხის მონაპოვრის უდიდესი მაჩვენებელია! თქვენთვის, უეჭველია, საინტერესო იქნება გაიგოთ, რომ სსრ კავშირის მოსახლეობა 1960 წლის 1 ივლისისათვის შეადგენს, წინასწარი მონაცემებით, უკვე 214 მილიონ 400 ათას კაცს.

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, საბჭოთა კავშირის მშრომელებმა გასულ ნახევარ წელიწადში ახალი წარმატებები მოიპოვეს შვიდწლიანი გეგმის შესრულების საქმეში, ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებასა და საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. ჩვენ, რა თქმა უნდა, სულაც არ უნდა დავჯერდეთ მიღწეულ წარმატებებს, ჩვენი ყურადღება უნდა მივაპყროთ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, რომლებიც ჯერ კიდევ არის ბევრი საწარმოსა და მშენებლობის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების და ჩვენი კულტურული და საყოფაცხოვრებო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობაში.

უდიდესი ცვლილებანი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული კულტურული რევოლუციის წარმატებებთან. მან გზა გაუხსნა ტალანტებს, რომლებიც, როგორც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ამბობდა, ხალხში აურაცხელია. საბჭოთა ადამიანი განათლებული, კულტურული გახდა. ეს საშუალებას აძლევს მას აქტიურად დაეუფლოს ახალ ტექნიკას, მეცნიერებას, უფრო სწრაფად განავითაროს ქვეყნის საწარმოო ძალები.

მთელ მსოფლიოში ცნობილია საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების შესანიშნავი მიღწევები. ყოველივე ეს კულტურული რევოლუციის ნაყოფია. მისი ფრონტი დიდია. მაგრამ, შეიძლება ითქვას, ყველაზე მთავარი, წამყვანი ადგილი ეკუთვნის ჩვენს სკოლას. სკოლისა და მასწავლებლის მნიშვნელობა საზოგადოების ცხოვრებაში, ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაში ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ. სკოლის წლები წარუშლელ კვალს ტოვებს ყოველი ადამიანის ცხოვრებაში. დიდი ხანია დატოვებულია კლასი, ბევრმა წყალმა ჩაიარა, ადამიანი გაიზარდა, დავაჟკაცდა, ზოგი კიდევაც მოხუცდა, მაგრამ ყველას ახსოვს თავისი სკოლის მასწავლებელი, ის კეთილი თესლი, რაც მან დათესა.

ჩვენ სიამაყით ვლაპარაკობთ საბჭოთა სკოლის წარმატებებზე. როცა საბჭოთა კავშირმა სამყაროს უკვლევ შორეთში გაუშვა დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრები, ამან აღაფრთოვანა და გაახარა მილიონობით ადამიანი მთელ მსოფლიოში, ახლებურად შეაფასებინა ჩვენი ქვეყანა, სოციალიზმის წარმატებანი, საბჭოთა ხალხის ტალანტი და დიადი შრომისმოყვარეობა.

ბევრი ობიექტური მეთვალყურე ცდილობდა მაშინ ეპოვნა განმარტება, აღმოეჩინა ის ამჩქარებელი, რომელიც საშუალებას აძლევს საბჭოთა კავშირს უმაგალითო სწრაფი ტემპებით ავითარებდეს მეცნიერებასა და ტექნიკას.

დიახ, ასეთი ამჩქარებელი არის. და აქ საიდუმლო არაფერია. ეს არის სოციალიზმი, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვა. ყველაზე შორსმჭვრეტი საზღვარგარეთელი მეთვალყურენი დიდად აფასებენ ისეთ მიღწევებს, როგორიც არის ხალხის საყოველთაო და უფასო სწავლება ჩვენს ქვეყანაში, წერა-კითხვის საყოველთაო ცოდნა, სისტემატური განათლება, რასაც ხალხის მოზარდი თაობა იღებს სოციალიზმის პირობებში, და სოციალიზმის სხვა მონაპოვრები.

მართლაც, საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენს ქვეყანაში გიგანტურად გაფართოვდა სახალხო განათლების ქსელი. შვიდწლიანი და რვაწლიანი სკოლების რაოდენობა ქალაქებში გადიდდა თითქმის ხუთჯერ, სოფლებში — 127-ჯერ. საშუალო სკოლების რაოდენობა გადიდდა ქალაქებში ათჯერ, სოფლებში — 181-ჯერ.

ახლა არ არის არც ერთი სასოფლო რაიონი, ყველაზე დაშორებულიც კი, სადაც არ მუშაობდეს თუნდაც ერთი, ზოგჯერ კი რამდენიმე საშუალო სკოლა.

ყოველ ქვეყანაში მასწავლებლები ინტელიგენციის ყველაზე მრავალრიცხოვანი რაზმია. მაგრამ განსაკუთრებით დიდია სახალხო მასწავლებლების მნიშვნელობა ჩვენში, იმ თავისუფალი მშრომელების სოციალისტურ ქვეყანაში, რომლებიც ქმნიან ახალ, ყველაზე სამართლიან წყობილებას, რასაც საფუძვლად უდევს ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონთა ღრმა შემეცნება.

საბჭოთა მასწავლებლებმა საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე განუყრელად, სასიცოცხლოდ დაუკავშირეს თავიანთი თავი კომუნისტურ პარტიას, მის მიზნებსა და იდეალებს, მის პრაქტიკულ მუშაობას. სახალხო მასწავლებელი პარტიის მთავარი დასაყრდენია ხალხის კულტურის აღმავლობისათვის ბრძოლაში, პარტიის ყველაზე ახლობელი თანაშემწეა ახალი ადამიანის აღზრდაში სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების საფუძველზე მაღალი კომუნისტური შეგნებულობის სულისკვეთებით.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა დიდ მადლობას უძღვნიან ყველა საბჭოთა მასწავლებელს მათი თავმდაბალი, ძნელი, ჭეშმარიტად დიადი და კეთილშობილური შრომისათვის.

ახლა ჩვენ ვახორციელებთ ორ ისტორიულ ამოცანას — ვქმნით კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და ვზრდით ახალ ადამიანს. არსებითად ეს ერთიანი პროცესია. საბჭოთა ადამიანების განათლებასა და აღზრდაში რომ ჩამოვრჩეთ, აუცილებლად შეფერხდება კომუნიზმის მშენებლობის მთელი საქმე.

აი ამიტომ, გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პროგრამა რომ დასახეს, პარტიამ და მთავრობამ იზრუნეს ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების შემდგომი განვითარებისათვის.

ღონისძიებანი, რომლებიც პარტიამ დასახა ამ დარგში, მთელმა ხალხმა მოიწონა, მათ სახელმწიფო კანონის ძალა მიენიჭათ.

სკოლის გარდაქმნაში მთავარია სწავლების შეერთება საზოგადოებრივ-სასარგებლო ნაყოფიერ შრომასთან და სკოლის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება. კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლა მოითხოვს საბჭოთა ადამიანის ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არა მარტო ვეუფლებოდეთ მთელ მეცნიერულ ცოდნას ბუნების, ტექნიკისა და საზოგადოების შესახებ, არამედ ამასთანავე ვისწავლოთ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება, რათა უშუალო შრომითი მონაწილეობა მივიღოთ კომუნისტურ მშენებლობაში. ჩვენ გვესაჭიროება არა მარტო ცოდნის შეთვისება, არამედ ისიც, რომ ეს ცოდნა გადავაქციოთ ღრმა იდეურ რწმენად, ისეთ რწმენად, რომელიც წარმოშობს ძლიერ გრძნობებს, ვლინდება ხალხის საკეთილდღეო საქმეებსა და მოქმედებაში.

საზოგადოების გარდაქმნის დიადი ამოცანები მოითხოვენ ახალგაზრდობისაგან ფართო ცოდნას, გამრჯეობას, მგზნებარე გულს. საერთო კეთილდღეობისათვის შრომის სიყვარული, კომუნიზმისადმი თავდადებული ერთგულება წმიდათა-წმიდაა, ცხოვრების კანონია იმათთვის, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება განაგრძოს და დაამთავროს უფროს თაობათა რევოლუციური საქმე.

განათლება სკოლისა და მასწავლებლების მუშაობის მხოლოდ ნაწილია, მართალია, მეტად დიდმნიშვნელოვანი და პირველხარისხოვანი ნაწილი. მაგრამ მარტო განათლება ცოტაა. თუ მოსწავლეებს არ გამოუმუშავდათ შრომის ჩვევები საერთო სარგებლობისათვის, განათლება ვერ უზრუნველყოფს მაღალი მორალის, კომუნისტური ფსიქოლოგიითა და ზნეობით აღჭურვილი ახალი ადამიანის აღზრდას. ასეთი ზნეობა იბადება შრომაში, საქმეებში, საქციელსა და ყოფაქცევაში.

ჩვენში კარგი ხალისიანი, შრომისმოყვარე ახალგაზრდობაა. როცა ეცნობი კაპიტალისტური ქვეყნების ცხოვრებას, ერთხელ კიდევ რწმუნდები, თუ რამდენად ფაქიზია ზნეობრივად ჩვენი ახალგაზრდობა, რამდენად ფართოა მისი ინტერესების არე, თუ რა ნათლად ისახავს იგი საკუთარი ცხოვრების იდეალებს, მიზანსა და შინაარსს.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ცხოვრებაში ჯერ კიდევ გრძელდება ახალი ყოფაცხოვრების, ახალი მორალის ბრძოლა ძველის გადმონაშთებთან, რომლებიც ჯიუტად განაგრძობენ არსებობას, წინააღმდეგობას უწევენ ყოველივე ახალს. ახალგაზრდობის მცირე ნაწილს, რომელსაც ცხოვრების კარგი სკოლა არ გაუვლია, ჯერ კიდევ ემჩნევა, რომ ფუქსავატურად ექიდება და აბუჩადაც კი იგდებს ფიზიკურ შრომას, ამჯობინებს სხვის ხარჯზე ყოფნას, არის უიდეობის, ერთგვარი ნიჰილიზმის ფაქტები. თუ წავაწყდებით ხოლმე ასეთ მოვლენებს, უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ სკოლის, კომკავშირის, პარტიული ორგანიზაციების აღმზრდელობით მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია.

სკოლის, ოჯახის, კომკავშირისა და მთელი საზოგადოებრიობის აღმზრდელობითი ზემოქმედების ძალა განუზომლად დიდია. თუ ამ ძალებს უნარიანად და დაკვირვებულად გავაერთიანებთ და ერთი მიზნისაკენ წარვმართავთ, მათ შეუძლიათ ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრან ყველა უარყოფითი მოვლენა ახალგაზრდა თაობის ცხოვრებაში. სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პერიოდში მასწავლებლის აღმზრდელობით საქმიანობას ჭეშმარიტად უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭება.

თქვენ მე მიამბეთ, რომ თქვენს ყრილობაზე ბევრი რამ საინტერესო ითქვა სკოლის გარდაქმნის შესახებ. მართალია, ამ მხრივ ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯები გადაიდგა. ჩვენ დიდი, რთული საქმე ჩავიფიქრეთ, იგი მოითხოვს ინიციატივას, შემოქმედებას, გულისხმიერ დამოკიდებულებას. სამაგიეროდ ნაყოფსაც კარგს მოვიმკით.

ამასთან დაკავშირებით მინდა გამოვთქვა ზოგიერთი მოსაზრება. ახლა შრომა სხვადასხვა ფორმით მტკიცედ იკიდებს ფეხს სკოლის ცხოვრებაში. ჩვენ ყველას გვახარებს მოსწავლეთა მუშაობა მრავალ სასწავლო-საწარმოო ბრიგადაში, სასწავლო მეურნეობებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. კარგია ის, რომ მოსწავლეები ამზადებენ საზოგადოებრივად სასარგებლო პროდუქციას.

მაგრამ მოსწავლეთა შრომა დიდმნიშვნელოვანია არა თავისთავად, არა მარტო და არა იმდენად თავისი პროდუქციით. ყველაზე მთავარია ის, რომ სწორად და ყოველმხრივ გამოვიყენოთ საწარმოო მეცადინეობა იმისათვის, რომ ახალგაზრდობას ჩავუნერგოთ საერთო სარგებლობისათვის შრომისადმი სიყვარული.

სკოლამ მოსწავლეებს უნდა ჩაუნერგოს კოლექტიური მუშაობის უნარი, ესე იგი საბოლოო ანგარიშით კომუნისტურად ცხოვრებისა და მუშაობის უნარი.

გახსოვთ, რას ამბობდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი კომუნისტური შრომის შესახებ ჯერ კიდევ 1920 წელს. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კომუნისტური შრომა — ეს არის შრომა ნებაყოფლობითი, შრომა ნორმის გარეშე, შრომა არა გასამრჯელოს მიღების ვარაუდით, შრომა საერთო სარგებლობისათვის შრომის ჩვეულებით, შრომა, როგორც მოთხოვნილება ჯანსაღი ორგანიზმისა. სწორედ ასეთი შრომისათვის უნდა მოვამზადოთ ჩვენი შვილები, ჩვენი ახალგაზრდობა!

ცხოვრებამ დაადასტურა, რომ მოსწავლეთა ჩაბმა ნაყოფიერ შრომაში სრულიადაც არ აქვეითებს მათი ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების დონეს. პირიქით, სწორი ხელმძღვანელობის დროს მოსწავლეები უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთ სასწავლო მოვალეობას. მათ მიერ შეძენილი ცხოვრებისა და საწარმოო გამოცდილება ეხმარება მათ უფრო ღრმად, უფრო შეგნებულად აითვისონ მეცნიერების საფუძვლები.

სკოლა უნდა დაეხმაროს ჭაბუკსა და ქალიშვილს—განსაზღვრონ თავიანთი მისწრაფება ცხოვრებაში, მონახონ საკუთარი ადგილი ჩვენს შრომითს ოჯახში.

სამწუხაროდ, ყველა მშობელსა და მასწავლებელს სწორად როდი ესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს განათლებას პროფესიის არჩევისათვის, შრომითი საქმიანობისათვის. მაშინ როცა სწორედ ამ საქმიანობით გამოიხატება ცხოვრების შინაარსი. ბევრი ვერასგზით ვერ გათავისუფლებულა ძველი შეხედულებებისაგან საშუალო განათლებაზე, მიაჩნიათ, რომ ასეთი განათლების სავალდებულო შედეგი უნდა იყოს რაიმე სამეთაურო თანამდებობა, თუნდაც მცირე, მაგრამ სამეთაურო, ან „სუფთა", „მსუბუქი" სამუშაო მაინც.

თქვენ იცით, რომ, როცა განვიხილავდით ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების შესახებ კანონის პროექტს, მე ყურადღებით ვუსმენდი ადამიანებს, თუ ვინ როგორ ეხმაურებოდა ამ კანონს. მე ვიტყვი, რომ აბსოლუტურმა უმრავლესობამ სწორად შეაფასა ეს პროექტი და მხარი დაუჭირა მას. მაგრამ ზოგიერთნი, მართებულად გაიგეს რა სასარგებლო შრომასთან სწავლის შერწყმის აუცილებლობა, — განსაკუთრებით (ახლა კი გთხოვთ მაპატიოთ) დედიკოები, — ამბობდნენ: კარგი იქნება ეს განხორციელდეს ერთი-ორი წლის შემდეგ, ჩემი ნინიკო დაამთავრებს ათ კლასს, და დაე მაშინ განახორციელონ რეფორმა. ჩვენ სწორად უნდა გავიგოთ ეს მშობლიური გრძნობა. აქ დამსწრეთა შორის, ცხადია, აგრეთვე ბევრია ისეთი კეთილი დედიკო, რომელთაც უყვართ თავიანთი ნინიკოები, მაშიკოები, ვანიკოები და პეტიკოები. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ჩვენ, მივიღეთ რა კანონი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების შესახებ, გადავდგით ნაბიჯი სწორი მიმართულებით, და ახლა უნდა წავიდეთ წინ იმ გზით, რომელიც პარტიამ დასახა ამ გადაწყვეტილებით.

ზოგიერთი ადამიანი ასე მსჯელობს: „რად უნდა მწველავს ტრიგონომეტრია, ზეინკალსა და ელექტრიკოსს კი — ბიოლოგია?" მათი აზრით, ფიზიკური შრომისათვის საჭირო არაა დიდი განათლება, მაშასადამე, არ უნდა დავტვირთოთ ბავშვები მეცნიერებით, თუ გარანტირებული არ არის, რომ ისინი უმაღლეს სასწავლებელში მოეწყობიან.

ეს აბსოლუტურად არასწორია. მე მაგონდება ჭაბუკობისდროინდელი ძეგლაარი, პანტელეიმონ მახინია. იგი მეშახტე იყო და ბევრს კითხულობდა. ძველ დროში მეშახტის შრომა მომქანცველი, კატორღული შრომა იყო. ცნება სწავლების სარგებლიანობის შესახებ იმ დროს ასეთი იყო: თუ ისწავლი და ფერშალი გამოხვალ — მაინც ხეირია: ადამიანებს უმკურნალებ, ახდა ისწავლი და შტაიგერი გამოხვალ („შტაიგერი", ასე ამბობდნენ მაშინ მუშები). აგრეთვე სახეიროა. და აი, როცა მახინიას ხედავდნენ წიგნით ხელში, — იგი კი ყოველთვის კითხულობდა, — ამბობდნენ: „პანტელეიმონს შტაიგერი უნდა გახდეს ან ფერშალი". მახინია კი იცინოდა: იგი იმიტომ კი არ სწავლობდა, რომ ფერშალი ან შტაიგერი გამოსულიყო, — იგი სწავლობდა იმისათვის, რომ შეეძინა ცოდნა, რათა უკეთ ეცხოვრა და შეეგრძნო თავისი როლი საზოგადოებაში, რათა უკეთ გამოეცნო ცხოვრების შინაარსი.

ასეთი ცოდნა სჭირდება მწველავსაც, მჭედელსაც. მე გთხოვთ უპატივცემულოდ ნუ მოეპყრობით იმ პროფესიას, რომლითაც მე დავიწყე ჩემი შრომითი საქმიანობა. მუშას ყოველგვარ საქმეში, რომელსაც იგი ასრულებს, უწინარეს ყოვლისა, ცოდნა სჭირდება. როცა ცოდნა გაქვს, ცხოვრება ადვილი და სასიხარულოა.

შრომისადმი სწავლის დაპირისპირება, — ეს ბატონკაცური, არამუშური დამოკიდებულებაა განათლებისადმი. ეს არსებითად სკოლის გარდაქმნის იდეის დამახინჯებაა.

ერთხელ მე დიდი სიამოვნება განვიცადე: კოლმეურნეობაში რომ ჩავედი, გამოველაპარაკე მეღორე ქალს, თქვენ ალბათ გახსოვთ, თუ როგორ ეპყრობოდნენ ამ პროფესიას, როცა ამბობდნენ: უკვე თავისი დრო მოჭამა და მეღორეობა დაიწყოო.

ჩვენს დროში ასეთი გაგება სავსებით შეიცვალა. ესაუბრები მეღორე ქალს, იგი კი ამბობს: მე ზოოტექნიკური ინსტიტუტის მესამე კურსზე ვსწავლობ. ესაუბრები მწველავს, ის კი გაცნობებს: სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს ვამთავრებო. ხშირად ისმენ მეგოლურის ან ბრიგადირის სიტყვას და გიხარია, თუ რა საქმიანად და კარგად ერკვევა ეს კაცი მეურნეობაში. მე კი მეუბნებიან: იგი ამთავრებს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს და კოლმეურნეობაში მუშაობსო. აი რა დრო დადგა, აი სადამდე მივედით!

აიღეთ რიაზანის ოლქის მაგალითი. ყველაზე ძვირფასი, ყველაზე საუკეთესო რიაზანის სკოლების გამოცდილებაში ის არის, რომ მათ შეძლეს ახალგაზრდობისათვის ჩაენერგათ შრომისადმი სიყვარული, სოფლის მეურნეობისადმი ინტერესი. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ ჩაება საშუალო განათლების მქონე ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი. და რას ვხედავთ, — თურმე, მწველავებსაც კარგად გამოადგათ ფიზიკის, ქიმიის, ტრიგონომეტრიის ცოდნა.

ოლქის წარმატებებში, შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში ფრიად დიდი როლი შეასრულა ახალი შევსების მაღალმა განათლების დონემ.

დაე ჩაუფიქრდნენ ამ მაგალითს სხვა ოლქებსა და მხარეებში. და არა მარტო ჩაუფიქრდნენ, არამედ უნარიანადაც გამოიყენონ რიაზანელი ამხანაგების გამოცდილება. სკოლის გარდაქმნის დროს ჩვენ ხშირად ვხვდებით უძრაობის, კონსერვატიზმის გამოვლინებებს. თუ დასაწყისში ჯერ კიდევ შეიძლებოდა რამდენადმე შევრიგებოდით საწარმოო სწავლების ორგანიზაციაში თვითდინების, კუსტარულობის ელემენტებს, ახლა უკვე დადგა დრო დავამყაროთ ამ საქმეში სახელმწიფო წესრიგი.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და სახელმწიფო საგეგმო კომისიებმა, საოლქო და სამხარეო აღმასკომებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა უნდა მოაწესრიგონ მოსწავლეთა საწარმოო სწავლების ორგანიზაცია, საჭიროა, რომ პროფესიების განსაზღვრა, სახელოსნოების და სასწავლო საამქროების ორგანიზაცია, პროგრამების შედგენა, ინსტრუქტორთა მომზადება ხორციელდებოდეს თვითეული ეკონომიური რაიონის განვითარების პერსპექტივების სრული შესაბამისობით.

უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ არა მარტო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, არამედ სახალხო მეურნეობის, კულტურისა და ყოფაცხოვრების ყველა დარგის მოთხოვნილება მუშაკებზე. მაშინ შეიქმნება უფრო ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ ყოველმა მოსწავლემ თავისუფლად აირჩიოს პროფესია.

ძალიან საჭიროა ავამაღლოთ სკოლაში ყველა საგნის სწავლების იდეური დონე. თქვენ ცხადია, მოგეხსენებათ, რომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ცნო მომავალი სასწავლო წლიდან საშუალო სკოლებისა და ტექნიკუმების უფროს კლასებში შემოღებულ იქნას ახალი პოპულარული კურსი — „პოლიტიკური ცოდნის საფუძვლები". ჩვენ გვინდა, რომ ახალგაზრდობა უფრო ღრმად ეცნობოდეს კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს, მარქსის, ენგელსისა და ლენინის მოძღვრებას კომუნიზმის შესახებ. ჩვენ გვინდა, რომ ახალგაზრდობას სწორად ესმოდეს თანამედროვეობის პრობლემები, უკეთ ინერგავდეს ახალი ადამიანის თვისებებს, ადამიანისა, რომელმაც უნდა ააშენოს კომუნიზმი და იცხოვროს კომუნიზმის პირობებში.

არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ ითქვას ოჯახის როლზე აღზრდაში. მშობლებისა და ოჯახის უფროსი წევრების მაგალითი ძალიან დიდმნიშვნელოვანია შეხედულებებისა და იდეალების, მისწრაფებებისა და ჩვეულებების ჩამოყალიბებაში. ტყუილად როდი ამბობენ ხალხში: კვიცი გვარზე ხტისო.

საჭიროა, რომ პარტიულ ორგანიზაციებს ოჯახში ბავშვთა აღზრდის საკითხები არ მიაჩნდეთ მარტო მშობლების „პირად" საქმედ, არ ეკავოთ „ნეიტრალური" პოზიცია.

ოჯახური აღზრდა პარტიის მუშაობის ერთ-ერთ ძალიან მნიშვნელოვან უბნად უნდა მივიჩნიოთ. ყველა მშრომელს უნდა ჩავუნერგოთ პასუხისმგებლობის გრძნობა ბავშვთა აღზრდისათვის. ისევე როგორც ყველა სხვა საქმეში, კომუნისტებმა ამ საქმეშიც უნდა უჩვენონ მაგალითი. მაღალი პარტიული პასუხისმგებლობის საქმეა სწორად აღვზარდოთ ახალგაზრდობა, აღვზარდოთ ისე, რომ გულდამშვიდებული ვიყოთ: გაიზარდა კარგი მშრომელი, სამშობლოს პატიოსანი მოქალაქე, ჩვენი დიადი კომუნისტური საქმის პატრიოტი და მემკვიდრე.

ხშირად — მე ვიცი ასეთი შემთხვევები — წარმატების მხრივ უფრო მეტად ჩამორჩებიან პასუხისმგებელ მუშაკთა ბავშვები. ასეთი ბავშვები ხშირად მასწავლებლებს დიდ გასაჭირში აგდებენ. ივანე ივანეს-ძეს უხერხულია აწყენინო. მათემატიკა კი შეროგებას ვერ იტანს. პასუხისმგებელი მამიკო ამბობს, რომ იგი დაკავებულია საზოგადოებრივი მუშაობით და საშუალება არა აქვს დრო გამონახოს თავისი ბავშვის აღსაზრდელად. საჭიროა კარგად მაგრად გავაკრიტიკოთ ისინი, ვინც ასე მსჯელობს. თქვენ კი, მასწავლებლებს, გირჩევთ საქმის სასარგებლოდ უფრო თამამად იმოქმედოთ.

ზოგიერთი დედიკო სასწავლო წლის დამთავრებისას ზოგჯერ მასწავლებლებს გამოტყუებენ ხოლმე თავიანთი გოგონების ან ბიჭიკოებისათვის საუკეთესო ნიშნებს. თქვენთვის გასაგებია, თუ რა დათვურ სამსახურს უწევენ ასეთ ბავშვებს, როცა აკმაყოფილებენ ამგვარ თხოვნას. თქვენ მოვალენი ხართ მოამზადოთ ისინი სიძნელეთა გადასალახავად, თქვენ კი ასეთი ნაბიჯით ასუსტებთ მათ ნებისყოფას. თქვენი შეღავათიანობა, მშობელთა შეუგნებლობისადმი დათმობა შეიძლება საბედისწერო გამოდგეს ასეთ მოსწავლეთა მომავლისათვის.

საბჭოთა მასწავლებლების წინაშე დგას ბევრი ახალი საკითხი, ბევრი დიდმნიშვნელოვანი საქმე. პარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა მასწავლებელი ყოველთვის იქნება იმ მოთხოვნათა სიმაღლეზე, რომლებსაც მას უყენებს ცხოვრება. სახალხო მასწავლებელს უფლება აქვს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ყოველმხრივი დახმარების იმედი ჰქონდეს. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები უფრო ახლოს უნდა მივიდნენ მასწავლებელთა კადრებთან, იცნობდნენ [illegible], ზრუნავდნენ მათთვის. დაე ყოველმა პარტიულმა, საბჭოთა მუშაკმა, სამეურნეო მუშაკმა, რა სიმაღლეზეც უნდა იყოს იგი ამჟამად, ახსოვდეს, რომ იგი ბევრ რამეს უნდა უმადლოდეს სკოლასა და მასწავლებელს.

ძვირფასო ამხანაგებო!

მე გიამბეთ ჩემი მოგზაურობა ავსტრიაში, გაგიზიარეთ ზოგიერთი მოსაზრება სკოლის მუშაობის შესახებ სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნასთან დაკავშირებით ჩვენს ქვეყანაში.

დაკავშირებულია თუ არა ერთმანეთთან ეს ორი თემა? ვფიქრობ, რომ დაკავშირებულია. რა შეიძლება იყოს უფრო სასურველი მასწავლებლისათვის, ვიდრე მშვიდობა დედამიწაზე?! მასწავლებელი დედასავით აძლევს ბავშვებს ყველაზე ძვირფას რამეს — თავის სიცოცხლეს და სურს, რომ ახალი თაობა ბედნიერი იყოს, რომ სკოლაში მიღებულმა ცოდნამ კარგი შედეგი მოიტანოს.

საბჭოთა სახალხო მასწავლებელი ასწავლის და ზრდის ბავშვებს ყველა ხალხისადმი მეგობრობისა და პატივისცემის სულისკვეთებით, შრომისმოყვარეობისა და მაღალი ადამიანური შეგნებულობის სულისკვეთებით. საბჭოთა მასწავლებელი უზრუნველყოფს, რომ ახალგაზრდა კაცი პატიოსანი, ძლიერი, წესიერი, ერთი სიტყვით, შრომისა და მშვიდობის ადამიანი იყოს.

მე ვფიქრობ, მართებული იყო თქვენს ყრილობაზე მელაპარაკნა ავსტრიაში მოგზაურობაზე, რადგან ეს მოგზაურობა მოვახდინეთ მშვიდობის საქმის განმტკიცების მიზნით, ხალხთა შორის უკეთესი ურთიერთგაგების მიზნით! ეს მოგზაურობა კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ საბჭოთა მთავრობა ესწრაფვის სხვადასხვა სოციალური წყობილების ქვეყნების მშვიდობიან თანაარსებობას.

მშვიდობის საქმისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ძალღონეს არ დავიშურებთ. კიდევ უფრო ბეჯითად ვიმუშავებთ მტკიცე მშვიდობისათვის, დედამიწის ყველა ხალხის ბედნიერებისათვის.

ჩვენმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა იციან და ხედავენ, რომ საბჭოთა მასწავლებლები ღირსეულ ცვლას ამზადებენ. თქვენს ხელშია, ძვირფასო ამხანაგებო, ყველაზე დიდი ჩვენი სიმდიდრე — ჩვენი მომავალი.

აღზარდეთ ახალგაზრდა თაობა, მამების რევოლუციური დიდების ღირსი, დიადი კომუნისტური დროის ღირსი.

დიდება ჩვენს სახალხო მასწავლებლებს! მადლობა თქვენ პატრიოტული შრომისათვის. გისურვებთ ახალ დიდ წარმატებებს თქვენს მუშაობაში.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი ამაყობენ სახალხო საბჭოთა მასწავლებლებით და უსურვებენ მათ ნაყოფიერ მუშაობას კომუნიზმის გამარჯვებისათვის!

**(ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს არაერთხელ შეაწყვეტინეს სიტყვა მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით).**

# დამთავრდა სრულიად რუსეთის მასწავლებელთა ყრილობა

9 ივლისს დამთავრდა სრულიად რუსეთის მასწავლებელთა ყრილობა, რომელიც კრემლის დიდ სასახლეში მიმდინარეობდა. რუსეთის ფედერაციის მასწავლებლებმა განიხილეს თავიანთ ყრილობაზე, თუ რა გზებითა და მეთოდებით განახორციელონ უკეთ სკოლის გარდაქმნის კანონი, რომელიც გამოხატავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდიდეს ზრუნვას კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიადი დროის შესაფერისი თაობის აღზრდისათვის. მოხსენებათა გამო კამათში მონაწილეობა მიიღო 60 კაცმა. საბოლოო სიტყვა წარმოთქვა რუსეთის სფსრ განათლების მინისტრმა ე. ი. აფანასენკომ. შემდეგ ყრილობამ ერთხმად მიიღო მიმართვა რუსეთის ფედერაციის ყველა მასწავლებლის, სახალხო განათლების მუშაკის, მშობლებისა და საზოგადოებრიობისადმი.

სკოლების ახლებურად მუშაობის პირველი წელი, ნათქვამია ამ მიმართვაში, სავსებით ადასტურებს, რომ პარტიის ღონისძიებანი სკოლის გარდაქმნისა სწორია და შეესაბამება კომუნისტური მშენებლობის ამოცანას. სწავლების შეერთება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომასთან, ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ქმნის მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის.

ყრილობა მიმართავს ყველა მასწავლებელს მოწოდებით განუწყვეტლივ სრულყონ სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის ფორმები და მეთოდები, გამოიყენონ ყოველივე ძვირფასი, რაც დაგროვებულია ჩვენი სკოლის გამოცდილებითა და პედაგოგიკის მეცნიერებით, შემოქმედებითად განავითარონ ის ახალი და მოწინავე, რაც იქმნება სკოლის გარდაქმნის მსვლელობაში.

ყრილობა მიმართავს მშობლებს, სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების კოლექტივებს, მწერლებს, კომპოზიტორებსა და ხელოვნების სხვა მოღვაწეებს უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღონ მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში.

ყრილობის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. ყრილობა გულითადად მიესალმება და მხურვალე მადლობას უძღვნის მშობლიურ პარტიას მასწავლებელთა შრომის მაღალი შეფასებისათვის. ყრილობის მონაწილენი პირობას აძლევენ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ მასწავლებლები პირნათლად შეასრულებენ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანებს.

შესვენების შემდეგ ყრილობის დელეგატები და სტუმრები კვლავ შეიკრიბნენ დარბაზში.

პრეზიდიუმში შემოდიან ამხანაგები: ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიქოიანი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, რომლებსაც ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს. დარბაზში ოვაცია იმართება. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დროს არაერთგზის გაისმა მქუხარე ტაში.

შემდეგ გამოვიდა სტალინგრადის ოლქის სტარაიაპოლტავკის საშუალო სკოლის მასწავლებელი ა. ა. ბოგოროდიცკაია, რომელმაც თქვა: სულითა და გულით გიძღვნით მადლობას, ნიკიტა სერგის-ძევ, თქვენი წვლილისათვის მშვიდობის საქმეში, მოზარდ თაობაზე ზრუნვისათვის.

მოსკოვის ოლქის ბელოომუტის საშუალო სკოლის დირექტორმა პ. ი. სმირნოვამ თავის სიტყვაში წამოაყენა წინადადება მიეღოთ მიმართვა მსოფლიოს ყველა მასწავლებლისადმი, რომელშიც მოუწოდონ აღიმაღლონ ხმა მშვიდობის დასაცავად, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ. მან გამარჯვება უსურვა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას— დედამიწაზე მშვიდობის მედროშეებს.

სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე როსტოვის ოლქის მეშკოვსკის საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელმა ლ. ნ. მეშკოვამ.

ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ რუსეთის ფედერაციის მასწავლებლები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მხურვალედ იწონებენ და მხარს უჭერენ საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას, რომელიც ემსახურება ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას.

ყრილობამ მიიღო აგრეთვე მიმართვა ყველა ქვეყნის მასწავლებლებისადმი, რომელშიც მოუწოდებს მათ ყოველი ღონე იხმარონ ომის საფრთხის თავიდან ასაცილებლად და მშვიდობის საქმის განსამტკიცებლად. ჩვენი წმიდა მოვალეობაა ჩავუნერგოთ ახალგაზრდა თაობას მაღალი მორალური პრინციპები, აღვზარდოთ იგი ჰუმანიზმის სულისკვეთებით. მსოფლიოს მასწავლებლებო! მჭიდროდ შევაკავშიროთ ჩვენი რიგები მშვიდობისათვის, საზოგადოების ცხოვრებიდან ომის სამუდამოდ გამორიცხვისათვის ბრძოლაში.

სხდომის თავმჯდომარე აცხადებს, რომ განათლების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება „სახალხო განათლების წარჩინებულის" ნიშნით დააჯილდოოს ყრილობის ყველა მონაწილე, რომლებსაც წინათ არ მიუღიათ ეს ჯილდო. აღინიშნა აგრეთვე, რომ 20 მასწავლებელი და პედაგოგიკის მეცნიერების მოღვაწე — ყრილობის დელეგატები დაჯილდოებული არიან კ. დ. უშინსკის მედლით.

ტაშით შეეგებნენ ცნობას, რომ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება რუსეთის სფსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭოს 539 მასწავლებელს — ყრილობის დელეგატებს.

ყრილობის დღის წესრიგი ამოწურულია. სრულიად რუსეთის მასწავლებელთა ყრილობა დახურულად ცხადდება.

(საკდესი).

# ნ. ს. ხრუშჩოვის პრეს-კონფერენცია

## ვენაში 1960 წლის 8 ივლისს

ავსტრიის ჟურნალისტთა კლუბის „კონკორდიის" პრეზიდენტმა დ. რუდოლფ კალმარმა გახსნა პრეს-კონფერენცია. იგი მიესალმა ნ. ს. ხრუშჩოვს და მადლობა გადაუხადა იმისათვის, რომ დათანხმდა შეხვედროდა ავსტრიელ და უცხოელ ჟურნალისტებს, რომლებიც საბჭოთა მთავრობის მეთაურს ახლდნენ ავსტრიაში მოგზაურობის დროს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა წარმოთქვა შესავალი სიტყვა. შემდეგ უპასუხა კორესპონდენტთა კითხვებზე.

**ავსტრიის გაზეთ „კურირის" კორესპონდენტის კითხვა.** ბატონო თავმჯდომარევ, ზალცბურგში თქვენ განაცხადეთ, საბჭოთა კავშირი გულგრილი ვერ იქნება, თუ ავსტრიის ნეიტრალიტეტი დაარღვიესო. რა გარემოებებში მიიჩნევს საბჭოთა კავშირი დარღვეულად ავსტრიის ნეიტრალიტეტს? რა ღონისძიებებს განახორციელებს საბჭოთა კავშირი, თუ ავსტრიის ნეიტრალიტეტი დაარღვიეს? შესაბამის ღონისძიებათა განხორციელების შემთხვევაში საბჭოთა კავშირი მოითხოვს ავსტრიის მთავრობის თანხმობას თუ ავსტრიის თანხმობის მიუღებლად იმოქმედებს?

**ნ. ს. ხრუშჩოვი.** ეს კითხვა თავიდან ბოლომდე გამოცანაა. დაარღვევენ თუ არა ავსტრიის ნეიტრალიტეტს, რომელი ქვეყანა დაარღვევს, როგორ დაარღვევს, — ყოველივე ეს მომავლის ვარაუდია. ჩვენი სურვილია, რომ არ დაარღვიონ ნეიტრალიტეტი. მე ვერ მოგცემთ მოქმედების პროგრამას ვარაუდების საფუძველზე.

მაგრამ შემიძლია გავიმეორო, რომ საბჭოთა კავშირი გულგრილი არ იქნება, თუ ვინმემ ავსტრიის ნეიტრალიტეტი დაარღვია. რას ვიზამთ ჩვენ? ეს დამოკიდებული იქნება იმ ვითარებაზე, რომელშიც ნეიტრალიტეტს დაარღვევენ. კონკრეტული ვითარება გვიკარნახებს, რის გაკეთება იქნება საჭირო, და ჩვენ განვახორციელებთ იმ ღონისძიებებს, რომლებიც საჭირო იქნება.

**ავსტრიის პრესის სააგენტოს კორესპონდენტის კითხვა.** ტელევიზიით გამოსვლის დროს თქვენ შესთავაზეთ არაკომუნისტურ სამყაროს მშვიდობიანი თანაარსებობა. განაგრძობს თუ არა საბჭოთა კავშირი მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, თუ აღმოჩნდა, რომ რომელიმე სხვა იდეა უფრო ეფექტიანი და უფრო მიმზიდველია, ვიდრე კომუნიზმი?

**ნ. ს. ხრუშჩოვი.** მე კომუნისტი ვარ და ახლა, უკვე ავსტრიიდან გამგზავრების წინ ვაღიარებ ამას. **(მხიარული გამოცოცხლება. ტაში).**

მას შემდეგ, რაც კარლ მარქსმა, ფრიდრიხ ენგელსმა და ვ. ი. ლენინმა შექმნეს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება, არ არსებობს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებზე უფრო მიმზიდველი იდეა. **(ტაში).**

ამ დროს დარბაზში გაისმა შეძახილი: „ბუ-უ-უ".

**ნ. ს. ხრუშჩოვი.** იქ ვიღაც „ბღავის" — ეტყობა ეს ის არის, ვინც ჩვენ სტალინგრადთან ცოცხალი გადაგვირჩა. **(მხიარული გამოცოცხლება. ტაში).**

ახლა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებამ არა მარტო ცხადყო თავისი სიმართლე ლოგიკის ძალით, არამედ არსებობს მარქსიზმ-ლენინიზმის მშვენიერი იდეებისათვის მუშათა კლასის ბრძოლის შესანიშნავი მაგალითი, ამ იდეათა განხორციელების მაგალითი. ამ მაგალითს იძლევიან საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები, რომლებიც წლითიწლობით აღწევენ ახალ წარმატებებს და მტკიცედ მიდიან კომუნიზმისაკენ. გამარჯვება კომუნიზმს დარჩება! **(ტაში).**

**ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტის კითხვა.** რა მიზეზით შეამცირეთ ავსტრიაში თქვენი ყოფნის პროგრამა?

**ნ. ს. ხრუშჩოვი.** იგი არ შეგვიმცირებია. დავაზუსტეთ, ხოლო ასეთი დაზუსტება, როგორც იცით, ხშირად ხდება. ჩემი ინიციატივით და კანცლერმა რააბმა ცოტა შევამცირეთ პროგრამა. ჩვენც ადამიანები ვართ და რომ დავი[illegible]ეთ, პროგრამა რამდენადმე გადატვირთული იყო, განვტვირთეთ იგი. განსაკუთრებული აქ არაფერია. გარდა ამისა, მინდოდა უფრო მეტი მომეკრიბა ძალები პრეს-კონფერენციის მოსაწყობად. **(მხიარული გამოცოცხლება. ტაში).**

**ამერიკის რადიომაუწყებელი კომპანიის „კოლამბია ბროდკასტინგ სისტემის" კორესპონდენტის კითხვა.** ბატონო ხრუშჩოვ, დიდი ინტერესით წამიკითხავს თქვენი მრავალი წერილი სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა პარტიის ყრილობებისადმი. როგორი იქნებოდა თქვენი წერილი დემოკრატიული პარტიის ყრილობისადმი, რომელიც 11 ივლისს იქნება ლოს-ანჯელოსში?

**ნ. ს. ხრუშჩოვი.** ვფიქრობ, რომ დემოკრატიული პარტია არ მოელის რაიმე წერილს საბჭოთა კავშირისაგან და ეს სავსებით ბუნებრივია. მით უმეტეს, რომ ყრილობა, რომელიც იქ გაიმართება, ალბათ დაასახელებს პრეზიდენტობისა და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატებს დემოკრატიული პარტიისაგან. ჩვენი მხრივ უტაქტო იქნებოდა გამოგვეჩინა ამ მომენტში რაიმე ისეთი აქცია, როგორსაც თქვენ გვთავაზობთ. ამას მიიჩნევდნენ ჩვენს ჩარევად ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო საქმეებში. ჩვენ პატივს ვცემთ ამერიკის შეერთებული შტატების ხალხს, და ვფიქრობ, რომ მას ჩვენი წერილი არ ესაჭიროება, განსაკუთრებით ისეთ მომენტში, როგორიც იწყება ამერიკელთა ცხოვრებაში, როცა ისინი თავიანთი ქვეყნის პრეზიდენტის არჩევნებისათვის ემზადებიან.

**დასავლეთ გერმანიის პრესის სააგენტოს კორესპონდენტის კითხვა.** ბატონო თავმჯდომარევ, თქვენ ხშირად გიქიათ ავსტრიის ნეიტრალიტეტი. თქვენი აზრით, რა პირობებშია შესაძლებელი ნეიტრალიტეტი, რომელიც მოიცავს აგრეთვე მთელ გერმანიას?

**ნ. ს. ხრუშჩოვი.** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობებმა რომ გამოაცხადონ თავიანთი სახელმწიფოების ნეიტრალიტეტი, ეს დიდად გაახარებდა მსოფლიოს ყველა ხალხს. ჩვენ პირადად მივესალმებოდით და პატივს ვცემდით ამ ნეიტრალიტეტს. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ქვეყნის ხალხები მიესალმებოდნენ ასეთ კეთილშობილურ ნაბიჯს, იმიტომ რომ ამით დიდმნიშვნელოვანი ქვა ჩაიდებოდა ევროპისა და მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობის საძირკველში. ასეთ ნაბიჯს განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა. ჩვენ არ ვკარგავთ იმედს.რომ დადგება დრო და მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა გაიმარჯვებს დასავლეთ გერმანიაშიც. თუ ვილაპარაკებთ ჩვენს შეხედულებებზე ამ საკითხთა შესახებ, ჩვენ საერთოდ მიგვაჩნია, რომ უნდა მოისპოს ყველა სამხედრო ბლოკი, გაყვანილ იქნან ჯარები სხვა ქვეყნების ტერიტორიიდან, მოხდეს შეთანხმება განიარაღების შესახებ, იარაღის მოსპობის შესახებ. ეს ყველაზე კეთილშობილური ნაბიჯი იქნებოდა ხალხების ინტერესებისათვის, ეს უზრუნველყოფდა მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

**დანიის გაზეთ „ბერლინგსკე ტიდნინგენის" კორესპონდენტის კითხვები.** ბატონო თავმჯდომარევ, ნება მიბოძეთ მოგცეთ ორი კითხვა.

პირველი კითხვა. შარშან თქვენ უარი თქვით სკანდინავიის ქვეყნებში გამგზავრებაზე. ჩვენ გვაინტერესებს შევიტყოთ, რამდენადაც თვითონ სკანდინავიიდან ვარ, ხომ არ შეგიძლიათ სკანდინავიის ქვეყნებში გაემგზავროთ თუნდაც წელს?

მეორე კითხვა. მაუტჰაუზენში თქვენს სიტყვაში ჰიტლერი ადენაუერს შეადარეთ. როგორც ცნობილია, ამას მთელი დიპლომატიური პროცესი მოჰყვა. გვითხარით, თუ შეიძლება, მართლა მიგაჩნიათ, რომ ადენაუერი ჰიტლერს ჰგავს? ჩვენ, ჩვენი მხრივ აგრეთვე მთელ რიგ ჩვენს მეზობელ სხვა პატარა ქვეყნებში მიგვაჩნია, რომ ადენაუერი, პირიქით. დემოკრატიული გერმანიის გარანტი არის. **(მოძრაობა დარბაზში).**

**ნ. ს. ხრუშჩოვი.** სკანდინავიის ქვეყნებში ჩემი მოგზაურობის საკითხი ვენის პრეს-კონფერენციაზე განხილვის საგანი არ არის. ეს არის საბჭოთა კავშირის მთავრობასა და სკანდინავიის ქვეყნების მთავრობებს შორის შეთანხმების საკითხი.

ახლა კანცლერ ადენაუერზე. ჰიტლერისა და ადენაუერის ფოტოსურათები რომ ვნახოთ, ეს ორი ადამიანი სულ არ ჰგავს ერთმანეთს. ხოლო თუ ვილაპარაკებთ იმ პოლიტიკაზე, რომელსაც ბატონი ადენაუერი ახორციელებს, ეს იგივე პოლიტიკაა, რომლითაც ჰიტლერმა დაიწყო. ჰიტლერმა ხომ, როგორც კი სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას, აკრძალა კომუნისტური პარტია. ადენაუერმა იგივე გააკეთა. ჰიტლერმა ამის შემდეგ დაიწყო გერმანიის ყველა დემოკრატიული ორგანიზაციის განადგურება. ადენაუერი ამასვე სჩადის. იგი სდევნის ადამიანებს, რომლებიც დემოკრატიულ თავისუფლებებს იცავენ, მან ბრალდებულთა სკამზეც კი დასვა ადამიანები მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი მშვიდობის უზრუნველსაყოფად იბრძვიან. ადენაუერი ფარავს ნაცისტებს და აღვივებს რევანშისტულ განწყობილებას. მას იგივე ძალები უჭერენ მხარს, რომლებიც ჰიტლერს უჭერდნენ.

მაგრამ განსხვავება ის არის, რომ ამჟამად სულ სხვა პირობებია, ვიდრე იმ დროს იყო, როცა ჰიტლერი მოქმედებდა. თუ ჰიტლერმაც კი დაალო ხახა და ვერ ჩაყლაპა ის, რის ჩაყლაპვაც სურდა, და დაიხრჩო, ადენაუერს ისღა დარჩენია, რომ ტუჩები ილოკოს, ბრაზობდეს, იმიტომ რომ, თითიც რომ გაანძრიოს სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, ჩვენ გავანადგურებთ მას. **(მქუხარე ტაში).**

მინდა ბოდიში მოვიხადო ფედერალური კანცლერის რააბის წინაშე იმისათვის, რომ ავსტრიის მიწა-წყალზე ვეხები საკითხებს, რომლებიც, შესაძლოა, რამდენადმე უსიამოვნო იყოს ავსტრიის მთავრობისათვის. მე არ ვაპირებდი ამ საკითხების აღძვრას, მაგრამ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია თავი არ ავარიდო პასუხს კითხვაზე, რომელიც პრეს-კონფერენციაზე მომცეს.

**ინგლისის გაზეთ „დეილი მეილის" კორესპონდენტის კითხვა.** აპირებთ თუ არა განაგრძოთ მონაწილეობა მოლაპარაკებაში ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ?

**ნ. ს. ხრუშჩოვი.** ჩვენ არათუ ვაპირებთ განვაგრძოთ, ჩვენ ახლაც განვაგრძობთ მონაწილეობას მოლაპარაკებაში და დიდი ხანია გვინდა ხელი მოვაწეროთ ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. მაგრამ შეთანხმებას გზას უღობავს პენტაგონი, და იგი, ეტყობა, ისწრაფვის, რომ ეს მოლაპარაკება ისევე დამთავრდეს, როგორც დამთავრდა მოლაპარაკება განიარაღების შესახებ. ჩვენ ვწუხვართ ამას, მაგრამ ამერიკელი მონოპოლისტები, როგორც ჩანს, ისეთ პოლიტიკას ახორციელებენ, რომ ჩაშალონ მოლაპარაკება.

**ავსტრიის გაზეთ „ნოიეს ოსტერრაიხის" კორესპონდენტის კითხვა.** საბჭოთა კავშირში არის თუ არა სხვადასხვა აზრი მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხში?

**ნ. ს. ხრუშჩოვი.** მე როგორც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და ჩვენი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი არ ვიცნობ სხვა აზრებს როგორც პარტიაში, ისე ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ, შესაძლოა, მე უფრო ცუდად ვიყო გაცნობილი საქმეს, ვიდრე თქვენ. თუ თქვენ სხვა ცნობები გაქვთ, მითხარით, მადლობელი ვიქნები. **(მხიარული გამოცოცხლება. ტაში).**

**გაზეთ „ტაიმს ოფ ინდიას" კორესპონდენტის კითხვა.** თქვენ, ბატონო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარევ, დაგვანახვეთ, რომ საჭირო და სასწრაფოა განიარაღების საკითხის გადაჭრა. აქვს თუ არა საბჭოთა კავშირს რაიმე ახალი წინადადება, ახალი ინიციატივა ამ დარგში?

**ნ. ს. ხრუშჩოვი:** ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენი ახალი წინადადებანი განიარაღების შესახებ ითვალისწინებენ აგრეთვე დასავლეთის სახელმწიფოთა სურვილებს, რომლებთანაც ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებდით. კერძოდ, ჩვენს წინადადებებში ასახულია საფრანგეთის მთავრობის პოზიცია, როგორც იგი პრეზიდენტმა დე გოლმა გაგვაცნო. მიუხედავად ამისა, ჩვენს უკანასკნელ წინადადებებს, როგორც იცით, მხარი არ დაუჭირეს დასავლეთის სახელმწიფოებმა. ჩვენ ახლა ეს საკითხი შევიტანეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მორიგი სესიის განსახილველად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს ყველაზე ქმედითი ახალი აქციაა, იმიტომ რომ იქ წარმოდგენილია თითქმის ყველა ქვეყნის მთავრობები, ხოლო მთელი მსოფლიოს ხალხები დაინტერესებული არიან მშვიდობის უზრუნველყოფით. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შესაფერისი ორგანოა, სადაც სერიოზულად, საქმიანად უნდა განვიხილოთ განიარაღების პრობლემა.

მაგრამ ჩვენში ამბობენ: ღვთის იმედი იქონიე, მაგრამ თვითონაც ხელი გაანძრიეო. ჩვენ რომ მარტო გენერალური ასამბლეის იმედით ვიყოთ, ხოლო, როგორც ცნობილია, მასაც ხომ შეუძლია იმედი გაუცრუოს ხალხებს, სწორად არ მოვიქცეოდით. საჭიროა დავრაზმოთ ხალხები, დავრაზმოთ მასები მშვიდობისათვის საბრძოლველად, იმათ წინააღმდეგ საბრძოლველად, ვინც აფერხებს განიარაღების საკითხების გადაჭრას. ახლა უფრო მეტად, ვიდრე წინათ, ნათელია, რომ განიარაღებას ვერ მივაღწევთ, თუ მასები, პირდაპირ ყველა ხალხი არ ჩავაბით მშვიდობისათვის ბრძოლაში. მდგომარეობა ისეთია, რომ პენტაგონის ერთი მუჭა ადამიანები შეიარაღების მონოპოლიათა ინტერესებისათვის ატრიალებენ ამერიკის მთელ პოლიტიკას. პენტაგონი განიარაღებაზე არ დათანხმდება. ამერიკის შეერთებული შტატების გენერლებსა და ადმირალებს აშინებთ განიარაღება, როგორც ჯვარი ეშმაკს, მათ არა სურთ და არ დათანხმდებიან განიარაღებაზე. გამოსავალი არის — ხალხებმა აქტიურად უნდა იბრძოლონ, არ უნდა დაელოდონ, რომ ვინმე მათ მაგივრად გადაჭრის ამ საკითხებს. ამ საქმისათვის უნდა დავრაზმოთ ყველა ხალხი, აღვუძრათ გულისწყრომა ხალხებს იმათ წინააღმდეგ, ვინც აფერხებს და შლის მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ, მაშინ შეიძლება მივაღწიოთ განიარაღების პრობლემის გადაჭრას. როცა ხალხები საკუთარ ხელში აიღებენ თავიანთ ბედს, სწორედ მაშინ მიღწეულ იქნება მტკიცე მშვიდობა. **(ტაში).**

**„კაირო პრესის" კორესპონდენტის კითხვა.** ბატონო თავმჯდომარევ, მინდა მოგცეთ ორი კითხვა. პირველი კითხვა: როგორ აფასებთ აფრიკისა და აზიის ქვეყნების, კერძოდ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პოზიტიურ ნეიტრალიტეტს?

**ნ. ს. ხრუშჩოვი.** ჩვენ ამ ნეიტრალიტეტს უაღრესად დადებითად ვაფასებთ.

**იმავე კორესპონდენტის მეორე კითხვა.** თქვენ მოითხოვთ განიარაღების განხორციელებას. დასავლეთის სახელმწიფოები კი განაგრძობენ იარაღის მიწოდებას ისრაელისათვის. როგორ ფიქრობთ, განა ეს საფრთხეს არ უქმნის მშვიდობას ამ რაიონში?

**ნ. ს. ხრუშჩოვი.** უეჭველად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს აქცია ხორციელდება არა მშვიდობის ინტერესებისათვის, არამედ ადგილობრივი კონფლიქტების გაჩაღების, ანუ, როგორც ამბობენ დასავლეთის სახელმწიფოთა მოღვაწეები, ლოკალური ომების გაჩაღების ინტერესებისათვის. მაგრამ „ლოკალური ომები" ჩვენს დროში ძალიან სახიფათო საქმეა, რადგან ყოველი პატარა „ლოკალური ომი" შეიძლება გახდეს ნაპერწკალი იმისათვის, რომ გაჩაღდეს მსოფლიო ომის ხანძარი.

ჩვენ არაერთხელ წამოვაყენეთ წინადადება დაიდოს ხელშეკრულება დიდ სახელმწიფოებსა და სხვა სახელმწიფოებს შორის, რათა არ მიეყიდოს იარაღი ახლო და შუა აღმოსავლეთის არც ერთ ქვეყანას. მაგრამ დასავლეთის ქვეყნებს ეს როდი სურთ. ისინი მიესალმებოდნენ იმას, თუ ჩვენ არავის მივყიდდით იარაღს, თვითონ კი სურთ გაყიდონ რაც შეიძლება მეტი იარაღი და მიჰყიდონ ვისაც სურთ. რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ ასეთი პირობები. ამიტომ, თუ დასავლეთის სახელმწიფოები მიჰყიდიან იარაღს თავიანთ მოკავშირეებს, ჩვენ მივყიდით იარაღს იმ ქვეყნებს, რომლებიც დგანან ნეიტრალიტეტის პოზიციებზე, რათა ამ ქვეყნებს შეეძლოთ დაიცვან თავიანთი დამოუკიდებლობა.

**გაზეთ „ნოიე ველტის" კორესპონდენტის კითხვა.** თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, არაერთხელ აღგინიშნავთ ხაზგასმით, რომ საჭიროა მშვიდობიანი თანაარსებობა. მე მინდა შეგეკითხოთ, რის გაკეთება შეუძლია ისრაელს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად?

**ნ. ს. ხრუშჩოვი.** ეს მე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, უნდა ვთქვა, თუ რა უნდა გააკეთოს ბენ-გურიონმა, რათა გაუმჯობესდეს ჩვენი ურთიერთობა? **(მხიარული გამოცოცხლება. ტაში).** ვფიქრობ, რომ მას არ სჭირდება ჩემი რჩევა-დარიგება და საეჭვოა, რომ მას ჩემი რჩევა-დარიგება გამოადგეს.

**გაზეთების „რუდე პრავოსა" და „პრავდის" (ჩეხოსლოვაკია) კორესპონდენტთა კითხვები.** პირველი კითხვა, ამხანაგო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარევ: რა მიგაჩნიათ ავსტრიაში თქვენი ვიზიტის ყველაზე დადებით მომენტად? მეორე კითხვა: თქვენ თქვით, რომ ვენაში პირველად იყავით 1946 წელს. თუ შეგიძლიათ გაიხსენოთ, სად ცხოვრობდით მაშინ?

**ნ. ს. ხრუშჩოვი.** ყველაზე უკეთესი შთაბეჭდილება ჩემზე და ჩემს ამხანაგებზე მოახდინა ავსტრიელი ხალხის შესანიშნავმა დამოკიდებულებამ საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი, მეგობრულმა დამოკიდებულებამ. სადაც კი ვიყავით, ჩვენ ყველგან ვგრძნობდით პატივისცემასა და სიმპათიას ჩვენდამი, ჩვენი ხალხისადმი.

ავსტრიაში მოგზაურობის დროს ჩვენ ბევრი ვესაუბრეთ ფედერალურ კანცლერს ბატონ რააბს და ჩვენს შორის არ წარმოშობილა რაიმე უთანხმოება იმ საკითხებში, რომლებიც ჩვენი ქვეყნების ურთიერთობას შეეხება. ჩვენ ეს გვახარებს. ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენი ურთიერთობა კარგია, და ვფიქრობ, რომ იგი კვლავაც კარგ მეგობრულ საფუძველზე განვითარდება. ჩვენ ამას მხოლოდ მივესალმებით. ჩვენ ვაფასებთ ავსტრიას, რომელიც დგას ნეიტრალიტეტის პოზიციაზე, ჩვენ ვაფასებთ ავსტრიელ ხალხს, შრომისმოყვარე და ნიჭიერ, მუსიკის მოყვარულს, და სულით და გულით ვუსურვებთ მას აყვავებას.

ვინაიდან ავსტრიის მთავრობა კოალიციური მთავრობაა, აგრეთვე უნდა ვთქვა, რომ ყველა საუბარი, რომლებიც ჩვენ გვქონდა სოციალისტური პარტიის ლიდერთან, ვიცე-კანცლერ ბ-ნ ბ. პიტერმანთან, აგრეთვე მეგობრული ხასიათისა იყო. რაც შეეხება ავსტრიის დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირისადმი და ნეიტრალიტეტის პოლიტიკას, ჩემი აზრით, მთავრობაში შემავალი ორივე პარტია ერთი და იმავე აზრისაა. ჩვენ ეს განსაკუთრებით გვახარებს.

მინდა განსაკუთრებით ვილაპარაკო ჩვენს საუბრებზე ავსტრიის პრეზიდენტთან ბ-ნ შერფთან. ჩვენ მასთან გვისაუბრნია მოსკოვშიც და აქაც, და უნდა ვთქვა, რომ ჩვენ კარგი ურთიერთგაგება გვაქვს ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთობის საკითხებსა და ნეიტრალიტეტის პოლიტიკის საკითხებში.

მე არაერთხელ მისაუბრია ეროვნული საბჭოს თავმჯდომარესთან ბატონ ფიგლთანაც. ამ საუბრებმა ცხადყო, რომ იგი იმავე პოზიციებს ადგას მშვიდობიანი თანაარსებობისა და ავსტრიის ნეიტრალიტეტის საკითხებში, როგორსაც ავსტრიის მთავრობის ლიდერები.

მეორე კითხვაზე ასე გიპასუხებთ. ვენაში პირველად ჩამოვედი 1946 წელს, როცა აქ ჯერ კიდევ ჩვენი ჯარები იდგნენ. რამდენადაც მაშინ გენერლის მუნდირი მეცვა, ბუნებრივია, ეს მუნდირი მავალებდა შესაბამისი ბინა მომეძებნა. მაშინ დავბინავდი არმიის გენერალ კურასოვთან. მაშინ კარგად დავათვალიერე ვენა და მისი მიდამოები. იმ დროს ხომ არ ვყოფილვარ შებოჭილი ოქმის რაიმე პირობითობით და მთელი თავისუფალი დრო ვენის ფაბრიკა-ქარხნებისა და ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებას მოვახმარე. უნდა ვთქვა, რომ მაშინ ვენაში მეტი რამ ვნახე, ვიდრე ამჯერად. მართალია, მაშინ ნაკლები ვიმოგზაურე ავსტრიაში.

ამას ავსტრიის მთავრობის სასაყვედუროდ როდი ვამბობ, არამედ ისე აღვნიშნავ, რომ ახლანდელი ვიზიტი სულ სხვა ხასიათისა იყო.

ჩვენ კმაყოფილი ვართ ავსტრიაში ყოფნით. ჩვენ არაფერში არ ვყოფილვართ შეზღუდული, პირიქით, ცდილობდნენ ეჩვენებინათ ყველაფერი, რაც გვაინტერესებდა, რის ნახვაც გვსურდა.

**დიპლომატიური და ეკონომიური ბიულეტენის „ბარომეტრის" კორესპონდენტის კითხვა.** რადგან ბატონ პრემიერ-მინისტრს მხედველობაში აქვს თანაარსებობა ეკონომიური შეჯიბრების ბაზაზე, ხომ არ შეუძლია მას მოიწონოს, რომ ეს შეჯიბრება საერთაშორისო შეთანხმებათა გზით დაექვემდებაროს გარკვეულ წესებს, რომლებიც უზრუნველყოფენ,რომ შეჯიბრება კორექტული ფორმით განხორციელდეს?

**ნ. ს. ხრუშჩოვი.** დიახ, მე ვადასტურებ, რომ ჩვენ ვდგავართ სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოზიციებზე. და ჩვენ მზად ვართ მივიღოთ მონაწილეობა ისეთ საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც დაიწყებს ამ საკითხის შემუშავებას, თუ როგორ უზრუნველვყოთ კორექტული მშვიდობიანი თანაარსებობა და ეკონომიური შეჯიბრება. ჩვენ ერთ დროს კიდევაც წამოვაყენეთ ასეთი წინადადება. სამწუხაროდ, ჩვენს ინიციატივას მხარი არ დაუჭირეს. მაგრამ სახელმწიფოებს მაინც მოუხდებათ თანაარსებობა და შეჯიბრება ეკონომიურ დარგში. როგორც ჩანს, ეს ჯერჯერობით ვერ შეუგნია დასავლეთის ზოგიერთ ხელმძღვანელ მოღვაწეს და ისინი კვლავ წინააღმდეგი არიან მოხსნან დისკრიმინაცია ვაჭრობაში, შეუქმნან თანაბარი შესაძლებლობანი ყველა ხალხსა და ქვეყანას ეკონომიური შეჯიბრების საკითხებში.

**ისრაელის სააგენტოს კორესპონდენტის კითხვა.** მზად არის თუ არა საბჭოთა კავშირის მთავრობა დათანხმდეს, რომ ოჯახების გაერთიანების საკითხის გადაწყვეტის ფარგლებში ნება მიეცეთ საბჭოთა კავშირში ებრაული წარმოშობის პირებს გადასახლდნენ ისრაელში?

**ნ. ს. ხრუშჩოვი.** ჩვენ რომელიმე პირთა შეერთების წინააღმდეგი არა ვართ, თუ მათ ეს სურთ. მაგრამ სიტყვები — „ოჯახების გაერთიანება" საკმაოდ პირობითი ცნებაა. ალბათ დღესაც ვენის გაზეთებში შეიძლება წავიკითხოთ ბევრი განცხადება იმის შესახებ,რომ მდიდარი ქვრივი ქალი ეძებს ქმარს, ანდა მდიდარი მოხუცი ეძებს ახალგაზრდა ცოლს. მაგრამ თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს პორტფელში არ არის ებრაული ეროვნების ან სხვა ეროვნების პირთა თხოვნა, რომელთაც სურდეთ ისრაელში წასვლა. პირიქით, ჩვენ გვაქვს ისრაელის ებრაელთა ბევრი წერილი, რომელნიც გვთხოვენ ნება დავრთოთ დაბრუნდნენ ისრაელიდან უკან თავიანთ სამშობლოში — საბჭოთა კავშირში.

**გაზეთ „პრავდის" კორესპონდენტის კითხვა.** დასავლეთ ბერლინისათვის ყველაზე უკეთეს გადაწყვეტად რა მიგაჩნიათ?

**ნ. ს. ხრუშჩოვი.** ბერლინისათვის ყველაზე უკეთესია ის, რომ დაიდოს საზავო ხელშეკრულება ამჟამად რეალურად არსებულ ორ გერმანულ სახელმწიფოსთან. ისინი, ვინც აქ ბღაოდა, უნდა მიხვდნენ, რომ ეს გარდუვალია, რომ ასეც მოხდება. საზავო ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ის სახელმწიფოები, რომლებსაც ეს სურთ. საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ქვეყნები ხელს მოაწერენ ამ საზავო ხელშეკრულებას, და ამით გადაწყდება დასავლეთ ბერლინის, როგორც თავისუფალი ქალაქის, საკითხი.

ასე რომ ვურჩევ დასავლეთ ბერლინის ბურგომისტრს ბატონ ბრანდტს ყოველი ღონე იხმაროს, რათა გააუმჯობესოს ურთიერთობა ამხანაგ გროტევოლთან და ამხანაგ ულბრიხტთან. სულ ერთია მას მაინც ექნება საქმე მათთან. ის ტერიტორია, რომელზეც ბერლინი მდებარეობს, ხომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაა, და დასავლეთ ბერლინის ურთიერთობა გარესამყაროსთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე გა[illegible] სხვა გზა [illegible] არის. ბ-ნი ბრანდტი მოაგვარებს თავის ურთიერთობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან თუ არა, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ის თუ არა, რომელიმე სხვა ბურგომისტრი იზამს ამას.

მე თქვენ ერთგვარ საიდუმლოს გაგიმჟღავნებთ. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია დასავლეთ გერმანიიდან, რომ იქ ახლა გულში ატარებენ იდეას, რომ სექტემბერში ბუნდესტაგის სხდომა გამართონ დასავლეთ ბერლინში. ამას პროვოკაციის მიზნით შვრებიან. იქნებ საჭირო იყოს ჩვენ და ამხანაგები გროტევოლი და ულბრიხტი და ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის მონაწილე სხვა სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები დავუფიქრდეთ ამას. იქნებ საჭირო იყოს დასავლეთ ბერლინში ბუნდესტაგის მოწვევას შევუფარდოთ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერა. და მაშინ ბუნდესტაგის ყველა დეპუტატს მოუხდებოდა გროტევოლისაგან მიეღო ვიზა, რათა შეძლებოდა ბერლინიდან წასულიყო შინ, ბონში. **(გამოცოცხლება. მქუხარე ტაში).**

პატივცემულო ბატონებო, ამხანაგებო, მეგობრებო! თუმცა ძალიან სასიამოვნოა თქვენთან დროს გატარება, მაგრამ, როგორც იტყვიან, წასვლა სჯობს წამავალისა. ჩვენ დღეს მივდივართ, და ამიტომ იძულებული ვარ დავამთავრო პრეს-კონფერენცია, თუმცა, მეტი დრო რომ მქონდეს, ხალისით გავცემდი პასუხს ყველა კითხვაზე.

დასასრულ მინდა ერთხელ კიდევ გადავუხადო მადლობა ავსტრიის მთავრობას სტუმართმოყვარული მიღებისათვის.

მინდა ბოდიში მოვიხადო, თუ ჩემი პასუხი ზოგიერთ კითხვაზე გულში მოხვდა ვინმეს, ვინც კითხვა მომცა და პასუხი მოისმინა. ასეთია პრეს-კონფერენციის კანონი: მე რომ თავი ამერიდებინა პასუხისათვის, თქვენ საქვეყნოდ შავ დღეს დამაყენებდით იმისათვის, რომ პასუხი არ გაგეცით, იტყოდით, შეშინდაო. ამიტომ იძულებული ვიყავი მეპასუხნა მოცემულ ყველა კითხვაზე, თავი არ ამერიდებინა მათთვის.

მადლობა ყურადღებისათვის! ძვირფასო მეგობრებო, ამხანაგებო, ბატონებო, წარმატებას გისურვებთ ჟურნალისტთა თქვენს კეთილშობილურ საქმიანობაში და თქვენს პირად ცხოვრებაში. **(ხანგრძლივი ტაში).**

პრეს-კლუბის პრეზიდენტმა ბ-ნმა კალმარმა ყველა დამსწრე ჟურნალისტის სახელით მადლობა გადაუხადა ნ. ს. ხრუშჩოვს პრესკონფერენციისათვის.


კომუნისტი

მე-4 გვერდი, კვირა, 10 ივლისი, 1960 წ.


## მომავალ შეხვედრამდე, ძვირფასო სტანისლაველებო!



### გმადლობთ თბილისო, — ამბობენ ჩვენი სტუმრები

დღეს მიხ. ლვოვსკის „გამარჯობა, კატია!"-ს წარმოდგენით ამთავრებს თავის გასტროლებს თბილისში მოსკოვის სტანისლავსკის სახელობის დრამატული თეატრის მხატვრული კოლექტივი.

მრავალმა თბილისელმა — ჩვენი დედაქალაქის საწარმო-დაწესებულებათა მუშებმა, მოსამსახურეებმა, ჩვენმა ინტელიგენციამ, მოსწავლეებმა და სტუდენტებმა ინახულეს მოსკოველი სტუმრების მიერ წარმოდგენილი საინტერესო სპექტაკლები.

სტუმრების გასტროლებმა ჩაიარა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში, გამოიწვია თბილისის საზოგადოებრიობის ინტერესი. სტანისლავსკის სახელობის თეატრის 13 მსახიობი და რეჟისორი დაჯილდოებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელებით.

კვლავ გელით ახალი დადგმებით, ახალი მიღწევებით, ძვირფასო სტანისლავსკელებო!

სტანისლავსკელთა ფიქრები და შთაბეჭდილებანი კარგად გადმოსცა თეატრის მსახიობმა, რსფსრ დამსახურებულმა არტისტმა თ. გურკომ, რომელმაც სთქვა: „აი, ახლა, როცა ვტოვებ თბილისს, არ შემიძლია დიდი, წრფელი მადლობით არ გამოვემშვიდობო მომთხოვნ, მაგრამ ამასთან ერთად უაღრესად გულთბილ და ყურადღებიან ქართველ მაყურებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო ჯილდოს ვთვლით ჩვენდამი უდიდესი ყურადღებისა და დაფასების გამოხატულებად...

სურათი გადაღებულია გუშინ საღამოს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობასთან. აქ თქვენ ხედავთ მოსკოვის სტანისლავსკის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის წამყვან მსახიობებს, რსფსრ დამსახურებულ არტისტებს მარიამ კრავჩუნოვსკაიას და ნიკოლოზ მიხაილოვს, მსახიობ ნიკოლოზ სალანტს.

— დღეს მთავრდება ჩვენი გასტროლები თქვენს მშვენიერ ქალაქში, — ამბობენ ისინი. — მივდივართ და თან მივყვება საუკეთესო მოგონებანი მშვენიერ და გულითად ადამიანებზე, დიდი თეატრალური ტრადიციების თბილისზე.

დიდად მადლობელი ვართ იმ ყურადღებისათვის, რაც აქ ჩვენდამი გამოიჩინეს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები, რომლითაც დაჯილდოებულ იქნა ჩვენი კოლექტივის ცამეტი წევრი, მათ შორის ჩვენც, ჩვენი მცირედი შრომის დიდი შეფასებაა.

ფოტო და ტექსტი ვლ. გინზბურგისა.

# სიახლე იდეოლოგიურ მუშაობაში

ამ დღეებში მოეწყო ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა სემინარი. მისი ამოცანა ის იყო, რომ იდეოლოგიური ფრონტის მუშაკების, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების ყურადღება მიეპყრო ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან პროპაგანდის მიახლოების საკითხებისათვის.

ამ მიზნით სემინარის მონაწილენი რვა ჯგუფად დაიყვნენ და რაიონებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიგზავნენ. მათ დაავალეს ღრმად და ყოველმხრივ შეესწავლათ, როგორ ხორციელდება პარტორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის გარდაქმნა „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ.

იმ ჯგუფს, რომელიც გაიგზავნა რუსთავში ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში, უნდა შეესწავლა, როგორ იბრძვის ქარხნის პარტორგანიზაცია შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, პროპაგანდის და მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ქმედითობისათვის.

სემინარის მონაწილენი, რომლებიც სამგორის რაიონში გაიგზავნენ, მოვალე იყვნენ შეესწავლათ, როგორ ეწევა რაიონული პარტორგანიზაცია მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას. სოფელ სართიჭალის კოლმეურნეობაში წასულთ უნდა შეესწავლათ, როგორ ეწევიან პროპაგანდას ახალ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას და როგორ იყენებენ ჩვენი ქვეყნის წარჩინებული მექანიზატორის ნ. მანუკოვსკის გამოცდილებას.

## ერთი სემინარული მეცადინეობის გამოცდილება

იმ ამხანაგების ნაწილი, რომლებიც ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონში გაიგზავნენ, სწავლობდნენ, როგორ აღწევს პარტორგანიზაცია პარტიული პროპაგანდის გავლენის სფეროს გაფართოებას, მის მასობრიობასა და მისაწვდომობას.

დაბრუნების შემდეგ გაიმართა სემინარული მეცადინეობა. მეცადინეობაზე გამოვიდნენ ჯგუფების ხელმძღვანელები და ილაპარაკეს იმაზე, თუ ახალი რა ნახეს საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წარმოებულ პროპაგანდისტულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, რა სასარგებლო დასკვნები გააკეთეს თავიანთთვის.

სემინარულმა მეცადინეობამ, რომელიც მდიდარი შინაარსით იყო ავსე, ცოცხალი შემოქმედებითი დისკუსიის ვითარებაში ჩაიარა. მან ბევრი რამ მისცა მსმენელებს, თვალნათლივ დაანახვა მათ, რომ მხოლოდ ადამიანთა პრაქტიკულ საქმიანობასთან მჭიდრო კავშირშია შესაძლებელი პროპაგანდის ქმედითობის გაძლიერება, მისი მამობილიზებელი როლის ამაღლება.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ჯიბლაძემ.

სემინარის მსმენელებმა მოისმინეს აგრეთვე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგის ე. ჯაფარიძის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგის მოადგილის პ. დულაშვილის, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივნის ი. აბაშიძის, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი რესპუბლიკური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის დ. ენუქიძისა და საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილის ვ. ქიქოძის ლექციები.

ქვემოთ ვაქვეყნებთ საბოლოო სხდომაზე სემინარის მონაწილეთა გამოსვლების შემოკლებულ ჩანაწერებს.

## გამოცდილება — ცოცხალი საქმეები

სემინარის მონაწილეთა იმ ჯგუფისაგან, რომელიც პარტიის სამგორის რაიკომის გამოცდილებას სწავლობდა, გამოვიდა პარტიის გურჯაანის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. თოდაშვილი.

— ვ. ი. ლენინი ამბობდა, — აღნიშნავს იგი, — რომ პროპაგანდისტულ საქმიანობაში მთავარი და ძირითადია უნარი — დააკავშირო მასები საერთო სამეურნეო ცხოვრების მშენებლობასთან.

იქ, სადაც ამ ლენინურ მითითებას თანმიმდევრულად ასრულებენ, სადაც კომუნიზმის იდეებს მასებს აცნობენ არა განყენებული ფორმით, არამედ გარკვეული კონკრეტული ამოცანების სახით, პროპაგანდის შედეგები პრაქტიკულ საქმეებში ჩანს.

ამ მხრივ დამახასიათებელია სამგორის რაიონის გამოცდილება. აქ მიმდინარე წლის დამდეგს იკისრეს მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი — ერთ წლიწადში სამჯერ გაედიდებინათ ხორცის, რძის, კვერცხისა და ბოსტნეულის წარმოება.

რაიონის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად რიაზანელთა თაოსნობის შესწავლითა და გავრცელებით დაიწყეს. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დაჩქარებული ზრდის მათი გამოცდილება განხილულ იქნა რაიონის ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის პარტიულ და საერთო კრებებზე.

რიაზანელთა მაგალითის მიხედვით აღრიცხულ იქნა სამგორის მიწის მდიდარი რეზერვები. პარტიის რაიკომმა შეადგინა მოწინავე გამოცდილებისა და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევათა პროპაგანდის პერსპექტიული გეგმა.

ახლა სამგორის რაიონი წარმატებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

რამ მისცა რაიონს შესაძლებლობა მიეღწია სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი ტემპებისათვის? — დაჟინებულმა, ყოველდღიურმა მუშაობამ ადამიანებთან — კოლმეურნეებთან, საბჭოთა მეურნეობის მუშაკებთან, კომუნისტებთან, კომკავშირელებთან.

35 ლექტორი და 800-ზე მეტი აგიტატორი ყოველდღიურად ეწევა მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას.

რაიონის მოწინავე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ლექციებითა და მოხსენებებით გამოდიან ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში.

რაიონში პერიოდულად იწყობა ეკონომიური კონფერენციები სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგების ეკონომიკის აქტუალურ საკითხებზე.

რაიონში მოაწყვეს ფურცლების გამოშვება, რომლებშიც განზოგადებულია სამ- [illegible]

ქის საბჭოთა მეურნეობა „ბორკის" წარჩინებულ მეფრინველეს ვერა სიდორას ეჯიბრება და მისი მაგალითისამებრ ვალდებულება იკისრა წლიწადში 6 ათასი კვერცხმდებელი ქათმისაგან მიიღოს მილიონზე მეტი კვერცხი. 20 ივნისისათვის ქეთევანმა უკვე ჩააბარა ნახევარ მილიონზე მეტი კვერცხი.

ქ. კორკოტაშვილი წავიდა საბჭოთა მეურნეობა „ბორკიში", სადაც გაეცნო ვერა სიდორას მუშაობის გამოცდილებას. ხარკოვის ოლქიდან რომ დაბრუნდა, წარჩინებული მეფრინველე საუბრებით გამოდიოდა. რაიონის მეფრინველეობის ფერმების ყველა მუშაკი იყო სტუმრად კორკოტაშვილთან და დაიწყო მისი მუშაობის პროგრესული მეთოდების გადაღება.

კომკავშირის სამგორის რაიკომმა პრაქტიკაში შემოიღო ახალგაზრდა კოლმეურნეთა მოწინავე გამოცდილების შესახებ ბიულეტენების პერიოდულად გამოშვება. წელს უკვე გამოშვებულია სამი ასეთი ბიულეტენი სამას-სამასი ცალი ტირაჟით.

ამ რაიონის კომუნისტებმა მოაწყეს ნამდვილად მასობრივი და ქმედითი სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის დავალებების ვადამდე შესრულებისათვის. ეს შეჯიბრება სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციამ წამოიწყო. არტელის კოლმეურნეები შეჯიბრებაში ჩაებნენ ტამბოვის ოლქის მიჩურინსკის რაიონის კომინტერნის სახელობის მოწინავე კოლმეურნეობასთან, რომელიც მთელ საბჭოთა კავშირშია ცნობილი და სადაც თავმჯდომარედ არის სოციალისტური შრომის გმირი ე. ანდრეევა.

ნორიოელთა დელეგაცია ეწვია კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობას, შეისწავლა მათი მუშაობის გამოცდილება. ნორიოელებთან ერთად იქ იყო პარტიის სამგორის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. ღ. დათუაშვილი. იქ მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის ბევრ საინტერესო ფორმას გაეცნო და დაბრუნების შემდეგ რაიონში გამოიყენა ისინი.

დიღმის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში რაიონული აქტივისათვის მოეწყო კურსები სათოხნი კულტურების ნათესების კომპლექსური მექანიზაციის მოწინავე გამოცდილების შესასწავლად.

ინსტიტუტის მეცნიერმუშაკთა ინიციატივით სოფელ მარტყოფის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში შეიქმნა მოწინავე გამოცდილების შესწავლის სკოლა.

ამას წინათ პარტიის რაიკომის ბიუროზე მოსმენილ იქნა სოფელ ნორიოს კოლმეურნეობის გამგეობის ანგარიში კომინტერნელებთან მისი შეჯიბრების შესახებ. განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა რაიკომის ბიუროს დადგენილება, რომელშიც შემუშავებულია ღონისძიებანი მოწინავე გამოცდილების დასანერგავად როგორც ნორიოელებთან, ისე რაიონის სხვა კოლმეურნეობებშიც.

მოწინავე გამოცდილების პროპაგანდაში უაღრესად აქტიურ მონაწილეობას [illegible]

რადღება მივაქციეთ ზოგიერთ ნაკლსაც ამ საქმეში. მაგალითად, რაიონში ცოტა როდია მოწინავე მეურნეობები, მაგრამ რატომღაც სწავლობენ მხოლოდ სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის არტელისა და სამგორის მეფრინველეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობის გამოცდილებას. ცუდია, რომ მთლიანად რაიონი, აგრეთვე რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები არ ეჯიბრებიან მეზობლებს. ცხოვრება კი გვიჩვენებს, რომ ასეთი შეჯიბრება ყველაზე ეფექტიანია.

## პროპაგანდის კონკრეტულობა

პარტიის ფოთის, ქუთაისის, ბათუმის, გორის, ტყვარჩელისა და რუსთავის საქალაქო კომიტეტებისა და ზესტაფონის, ტყიბულის, ახალციხის, ჭიათურის რაიკომების მუშაკთა ჯგუფი მეტალურგთა ქალაქ რუსთავში წავიდა. მათ უნდა შეესწავლათ შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის პარტორგანიზაციის იდეოლოგიური მუშაობის საკითხები.

თუ რას გაეცნენ ისინი რუსთავში, ამის შესახებ სემინარზე ილაპარაკა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ჯაველიძემ.

ქარხნის 10 წლის ეკონომიური მაჩვენებლების კონკრეტული ანალიზით ამხ. ჯაველიძემ ცხადყო, თუ როგორ განუწყვეტლივ წლითიწლობით სწრაფი ტემპებით იზრდებოდა რუსთაველ მეტალურგთა შრომის ნაყოფიერება. უკანასკნელ ათ წლიწადში იგი ოთხჯერ გაიზარდა.

ყოველწლიურად შრომის ნაყოფიერება ქარხანაში 10-15 პროცენტით იზრდებოდა, ცალკეულ საამქროებში კი უფრო მეტადაც.

შრომის ნაყოფიერების ზრდის ასეთი ტემპები აიხსნება საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვით, კომპლექსური მექანიზაციის თანმიმდევრული განხორციელებით, ტექნოლოგიის გაუმჯობესებით, კადრების კვალიფიკაციის ამაღლებითა და მოწინავეთა გამოცდილების მასობრივი გამოყენებით.

500 პროპაგანდისტისა და აგიტატორის აქტიური მონაწილეობით ქარხანაში ფართოდ ნერგავენ მეურნეობის გაძღოლის პროგრესულ მეთოდებს. სწრაფად ეხმაურებიან ძვირფას თაოსნობას.

დიდი პოპულარობით სარგებლობს ტექნიკური კულტურის საქარხნო უნივერსიტეტი. იქ ლექციებით გამოდიან წამყვანი სპეციალისტები, მეცნიერები.

ქარხნის პარტორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევს ეკონომიური ცოდნის პროპაგანდას. ბევრი კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი მეცადინეობს კონკრეტული ეკონომიკის წრეებსა და სემინარებში. ხშირად იწყობა საქარხნო და საამქრო ეკონომიური კონფერენციები.

ეკონომიური ცოდნის დაუფლება ხელს უწყობს წარმოების ამაღლებას. მაგალითად, 1959 წლის დამლევს ქარხანაში მოეწყო ეკონომიური კონფერენცია თემაზე: „შრომის ნაყოფიერების ზრდის გზები ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში". კონფერენციაზე გამოვიდა 13 კაცი. შეტანილ იქნა ბევრი ძვირფასი წინადადება, მომზადდა რეკომენდაციები, რომლებიც განიხილა ქარხნის პარტკომის სპეციალურ სხდომაზე და შემდეგ შეუდგნენ მათ განხორციელებას.

შრომა საბჭოთა ადამიანების პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება ხდება. ამას დამაჯერებლად მოწმობს შეჯიბრების პრაქტიკა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი ჩაება კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდებისათვის შეჯიბრებაში ქარხნის ფოლადსადნობი საამქროს ოსტატის სოციალისტური შრომის გმირის არჩილ ძამაშვილის ბრიგადა. ახლა ქარხანაში ამ მაღალი წოდებისათვის ბევრი ბრიგადა, ცვლა, უბანი და საამქრო იბრძვის. ბევრმა მათგანმა უკვე მოიპოვა ეს საპატიო წოდება. კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების სრულიად საკავშირო თათბირის დღეებში მთელი ქარხანა ჩაება შეჯიბრებაში კომუნისტური შრომის საწარმოს წოდებისათვის.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე ქარხნის პარტკომის ინიციატივით მოეწყო თეორიული კონფერენცია თემაზე „კომუნისტური შრომის ბრიგადა და მისი როლი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში". ქარხანაში ხშირად იკითხება ლექციები და მოხსენებები, იწყობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, ეთიკის, მორალის, კომუნისტური ზნეობის საკითხებისადმი მიძღვნილი საღამოები.

ლექციებითა და მოხსენებებით ახლა უფრო ხშირად გამოდიან წარმოების ნოვატორები, ისეთები, როგორიც არიან მაგალითად, არჩილ ძამაშვილი, აგლოსაბრძმედი საამქროს ობერსტატი ვარდიშ კობერიძე და სხვ.

მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის სერიოზული ნაკლოვანებებიც, რომლებიც ქარხნის პარტორგანიზაციის იდეოლოგიურ მუშაობაშია.

კოლექტივისათვის, რომელიც კომუნისტური შრომის საწარმოს წოდების მოსაპოვებლად იბრძვის, სრულიად არასაკმარისია იმ უპარტიოთა რიცხვი, რომლებიც ჩაბმული არიან პოლიტიკურ განათლებაში, — სულ 63 კაცი.

ქარხანაში არადამაკმაყოფილებლადაა მოწყობილი თვალსაჩინო აგიტაცია. საამქროებში გამოკიდებულია ხუთი წლის წინანდელი ლოზუნგები და პლაკატები, რომლებსაც დაკარგული აქვს აქტუალობა, მაჩვენებელთა დაფები გახუნებულია, უგემოვნოდ არის გაფორმებული, ვიტრინებში ძველი გაზეთებია.

## ნოვატორი ლექციას კითხულობს

საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალის კოლმეურნეობაში მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის გამოცდილებაზე ილაპარაკა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. დოლიძემ.

არტელს მსხვილი მრავალდარგოვანი მეურნეობა აქვს. 1959 წელს არტელის ფულადმა შემოსავალმა 7 მილიონ მანეთს მიაღწია ნაცვლად 1953 წლის 2 მილიონ 136 ათასი მანეთისა.

არტელის მიღწევები მნიშვნელოვანწილად აიხსნება იმით, რომ საკოლმეურნეო წარმოებაში დაინერგა ჩვენი ქვეყნის წარჩინებული მექანიზატორების სოციალისტური შრომის გმირების მანუკოვსკისა და გიტალოვის მოწინავე გამოცდილება.

ამ მხრივ კარგი ინიციატივა გამოიჩინა სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა მ. გიბიშვილმა.

მან მიწერ-მოწერა გამართა მანუკოვსკისთან, ხოლო როცა ამას წინათ მანუკოვსკი საქართველოში იყო, გიბიშვილი შეხვდა მას. მანუკოვსკი და გიბიშვილი ერთმანეთთან შეჯიბრებაში ჩაებნენ.

გიბიშვილმა კომპლექსურად დაამუშავა 100 ჰექტარი სიმინდის ნათესი და 100 ჰექტარი მზესუმზირას ნათესი და რაიონში ამ კულტურების ყველაზე მაღალი მოსავალი მიიღო.

კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ ბევრი რამ გააკეთა გიბიშვილის თაოსნობის ფართოდ გავრცელებისათვის. ბრიგადებში შეიქმნა „მოწინავე გამოცდილების კუთხეები". კოლმეურნე ნოვატორმა დაწვრილებით მოუთხრო კოლმეურნეებს თავისი მუშაობის გამოცდილების შესახებ.

გიბიშვილმა თავისი გამოცდილების შესახებ ილაპარაკა აგიტკოლექტივის სემინარზეც. ამის შემდეგ აგიტატორები შეუდგნენ საუბრების მოწყობას ბრიგადებსა და რგოლებში.

მალე გიბიშვილის მაგალითს კოლმეურნეობის მემინდვრეობის პირველმა და მეორე ბრიგადებმა მიბაძეს. სათოხნი კულტურების კომპლექსურმა დამუშავებამ საუცხოო შედეგები გამოიღო.

თუ ხელით დამუშავების დროს ცენტნერი სიმინდი კოლმეურნეობას 21 მანეთი და 10 კაპიკი უჯდებოდა, ხოლო მზესუმზირა 28 მანეთი და 30 კაპიკი, კომპლექსურმა მექანიზაციამ შესაძლებელი გახადა ცენტნერი სიმინდის თვითღირებულება 9 მანეთამდე დაეყვანათ. მზესუმზირასი კი — 13 მან. 10 კაპიკამდე. ამრიგად, 600 ჰექტარი სათოხნი კულტურების მექანიზებულმა დამუშავებამ კოლმეურნეობას 54.600 მანეთი დაუზოგა.

წელს მ. გიბიშვილმა ვალდებულება იკისრა კომპლექსურად დაამუშაოს 500 ჰექტარი სათოხნი კულტურები და ცენტნერი სიმინდის თვითღირებულება 4 მან. 70 კაპიკამდე შეამციროს.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში მიღწეულ წარმატებებს იქით არ შეიძლება არ დავინახოთ ნაკლოვანებებიც მოწინავე გამოცდილების პროპაგანდაში.

კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის თავის მუშაობას მარტო მემინდვრეობით ზღუდავს. სუსტად წარმოებს მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა მეცხოველეობის ფერმებში. კოლმეურნეებმა თითქმის არაფერი არ იციან ჩვენი ქვეყნის წარჩინებული მეღორეების ჩიჟისა და სეფიაშვილის გამოცდილებაზე. არადამაკმაყოფილებლად წარმოებს მოწინავე მწველავთა გამოცდილების პროპაგანდა.

---

☐ ტექნიკური უნივერსიტეტი ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში.

☐ სამგორელები სწავლობენ რიაზანელთა გამოცდილებას და ბაძავენ მათს მაგალითს.

☐ მეცნიერთა მეთოდოლოგიური ფილოსოფიური სემინარები.

☐ პროპაგანდის ქმედითობა — ცენტნერი სიმინდის თვითღირებულება 21 მან. 10 კაპიკიდან მცირდება 4 მან. 70 კაპიკამდე.

---

## სამგორი — მიჩურინსკი

სამგორის რაიონის სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობა ტამბოვის ოლქის მიჩურინსკის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობას ეჯიბრება. როგორ იბრძვის ნორიოს კოლმეურნეობის პარტორგანიზაცია ამ შეჯიბრებაში ნაკისრ მაღალ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის? რა მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევა? ეს საკითხები უნდა შეესწავლა სემინარის მონაწილეთა იმ ჯგუფს, რომელიც სოფელ ნორიოში წავიდა.

სემინარზე ამ ჯგუფის სახელით გამოვიდა პარტიის წალენჯიხის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. კვარაცხელია.

— პოლიტიკური მუშაობა კარგად რომ მოაწყო, — თქვა მან, — კოლმეურნეობის პარტორგანიზაციამ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია არტელის სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელობაში. განმტკიცდა კოლმეურნეობის ეკონომიკა. თუ 1950 წელს ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 700 ათასი მანეთი, ხოლო მეცხოველეობის ფერმებში ითვლებოდა 660 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 40 ღორი, 5 ათასი სული ცხვარი და 200 ფრთა ფრინველი, უკვე 1959 წელს კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 4 მილიონ 200 ათასი მანეთი, ხოლო ფერმებში იყო 1.600 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 9 ათასი სული ცხვარი, 1.200 ღორი და 7 ათასი ფრთა ფრინველი. კოლმეურნეობის ძროხების 95 პროცენტი ველის წითელი ჯიშისაა.

არტელი წარმატებით ასრულებს კომინტერნელებთან შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. ამას ხელს უწყობს ფართოდ გაშლილი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა.

ამ მუშაობის ნამდვილი ცენტრი გახდა მუდმივმოქმედი აგიტპუნქტი. აქ ყურადღებას იპყრობს კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის მიღწევათა კარგად გაფორმებული მუდმივი გამოფენა. დიაგრამები, პლაკატები გვაცნობენ შეჯიბრებაში ჩაბმულ კოლმეურნეობათა ვალდებულებებს.

საპატიო დაფაზეა შეჯიბრების მოწინავეთა ფოტოსურათები. სპეციალური სტენდები მოგვითხრობენ კოლმეურნე ნოვატორთა მუშაობის გამოცდილებაზე.

კოლმეურნეობის მეცხოველეობის ყველა ფერმას წითელი კუთხე აქვს. აქ ადამიანს თვალში ხვდება კარგად გაფორმებული შრომითი მაჩვენებლების დაფები, რომელთა გვერდით გამოფენილია ბრიგადის ყველა წევრის სოციალისტურ ვალდებულებათა ფურცლები.

პარტიულ და საერთო კრებებზე რეგულარულად წარმოებს არტელის სამეურნეო საქმიანობის შედეგების შემოწმება.

მაგრამ კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის იდეოლოგიურ, აღმზრდელობით მუშაობაში ნაკლოვანებებიც არის. ეს არის უწინარეს ყოვლისა პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მცირე მასშტაბი. არტელის კომუნისტების მხოლოდ ნახევარი სწავლობს პარტიული განათლების სისტემაში. ხოლო უპარტიო კოლმეურნეები და კომკავშირელები ჩაბმული არ არიან პოლიტიკური განათლების ქსელში.

ნორიოელებს კარგად აქვთ გაფორმებული კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის მიღწევათა გამოფენა, მაგრამ არ ზრუნავენ იმისათვის, რომ ეს გამოფენა მუდამ შეავსონ ახალი ექსპონატებით. მაგალითად, გამოფენა არაფერს არ გვეუბნება იმაზე, თუ დღეს როგორ მუშაობენ კომინტერნელები.

## პრაქტიკასთან კავშირში

იმის ნათელ მაგალითს, თუ რის მიღწევა შეიძლება, როცა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში წარმოებს, წარმოადგენს სამგორის რაიონის სოფელ ქესალოს „პრავდის" სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის გამოცდილება, რომლის შესახებაც სემინარზე ილაპარაკა პარტიის კასპის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ჭეიშვილმა.

კოლმეურნეობის პარტორგანიზაცია კარგად ახამებს ორგანიზატორულ და იდეოლოგიურ მუშაობას და ამავე დროს სერიოზულ ყურადღებას აქცევს სამეურნეო ამოცანების პროპაგანდას. სოციალისტური შეჯიბრების, მდიდარი საკოლმეურნეო ტექნიკის უნარიანი გამოყენების საკითხები მუდამ მოქცეულია კოლმეურნეობის პროპაგანდისტებისა და აგიტატორების ყურადღების ცენტრში.

მოწონების ღირსია თვალსაჩინო აგიტაციის დაყენება კოლმეურნეობაში. მუშაობის მაჩვენებლების დაფა კონკრეტულია. იგი გვიჩვენებს როგორ შრომობენ კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადები, მეცხოველეები.

პროპაგანდის ქმედითობას მოწმობს კოლმეურნეობაში ეკონომიური განათლების გამოცდილება. სოფლის მეურნეობის კონკრეტული ეკონომიკის წრის ერთ-ერთ მეცადინეობაზე, რომელიც კოლმეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხს მიეძღვნა, გამოვიდნენ სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ა. მუსაევი და პარტჯგუფორგი ი. ხოჯაევი. მათ წინადადება შეიტანეს, რომ საკოლმეურნეო ტექნიკის რემონტი საკუთარი საშუალებებით წარმოებდეს. წრის მსმენელთა ინიციატივას მხარი დაუჭირეს. კოლმეურნეობამ მოაწყო თავისი სარემონტო სახელოსნო და მოკლე ხნის განმავლობაში უკვე დაზოგა 150 ათს მანეთზე მეტი.

წრის სხვა მსმენელებმაც შეიტანეს ბევრი წინადადება, რომლებითაც იზოგება საწვავი, საცხები მასალები, შრომა. პარტორგანიზაცია ყურადღებით ეკიდება ყველა წინადადებას და ოპერატიულად აღწევს მათ განხორციელებას.

მაგრამ კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის წარმოებაში სერიოზული ნაკლოვანებებიც აქვს. მაგალითად, გაუგებარია, ისეთ დიდ სოფელში, როგორიც ქესალოა, რატომ არ არის მუდმივმოქმედი აგიტპუნქტი. კოლმეურნეობის ბევრი საველე ბანაკი სოფლიდან შორს არის და კარგი იქნებოდა იქ მოწყობილიყო საველე აგიტპუნქტები. ცუდია, რომ მეცხოველეობის ფერმებში არ არის წითელი კუთხეები. ლექციურ პროპაგანდაში არავითარ დახმარებას არ უწევს პარტორგანიზაციას პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების რაიონული განყოფილება.

## ვეძებდეთ, ვპოებდეთ...

სემინარის მონაწილენი ყურადღებით ისმენენ თავიანთი ამხანაგების გამოსვლებს. პოლიტიკური მუშაობის ორგანიზაციაში [illegible] და საგულისხმო შეიძინეს რესპუბლიკის პარტორგანიზაციებმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ" პარტიული ორგანიზაციები იდეოლოგიური მუშაობის კონკრეტული პროგრამით შეაიარაღა. პარტიის 26 კომისრის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. მესხმა თქვა, რომ თუ 1958 წელს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამდე, ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პარტიული განათლების სისტემაში მეცადინეობდა 574 უპარტიო აქტივისტი და 154 კომკავშირელი, უკვე მიმდინარე სასწავლო წელს მეცადინეობდა 1.345 უპარტიო და 694 კომკავშირელი.

ჩვენი სამეცნიერო კადრებისათვის პოლიტიკური სწავლების საინტერესო, აქტიური ფორმა გახდა მეთოდოლოგიური სემინარები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ ორჯონიკიძის რაიონში. ისინი ფილოსოფიის აქტუალურ პრობლემებს სწავლობენ.

დიდი ინტერესი გამოიწვია პროფესორ მ. საკაშვილის ხელმძღვანელობით არსებული ერთი ასეთი სემინარის შემაჯამებელმა მეცადინეობამ, რომელზეც განიხილეს თემა: „ლენინი და მატერიალისტური მოძღვრება თავის ტვინის მუშაობის შესახებ".

საინტერესოა მეცნიერთა საღამოები, მიძღვნილი საინფორმაციო მოხსენებებისადმი თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების შესახებ. დიდი აუდიტორია იკრიბება დიასახლისთა საღამოებზე, რომლებიც ქ. თბილისის კალინინის რაიონში იმართება.

პარტორგანიზაციებში იდეოლოგიური მუშაობის ორგანიზაციის სათანადოდ შესწავლა სემინარის მონაწილეთა მიერ ცხადყოფს, რომ მთელ რიგ ჩვენს საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბევრი რამ ახალი და საინტერესოა პროპაგანდისტულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში. მაგრამ ამავე დროს ჯერ კიდევ ბევრია ნაკლოვანებებიც, ისეთი, როგორიც არის ცხოვრებისაგან მოწყვეტის დაძლევის, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ცოცხლად და საინტერესოდ აგების უნარის უქონლობა.

იდეოლოგიური მუშაობის გამოცდილების დეტალური შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს ყურადღება მივაქციოთ პროპაგანდის იმ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც უკვე არის, მაგრამ, რომლებსაც რატომღაც სუსტად იყენებენ ან არასაკმაოდ ავრცელებენ ამ რაიონში.

---

ჩვენი რესპუბლიკის პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებები უნდა სწავლობდნენ და განაზოგადებდნენ პროპაგანდისტული მუშაობის ახალი, ცოცხალი ფორმების გამოყენების გამოცდილებას და უნდა ახორციელებდნენ ყოველივე ძვირფასს და საინტერესოს.

პროპაგანდა მასობრივი უნდა იყოს, ხოლო მისი ყურადღების ცენტრში უნდა იმყოფებოდეს ადამიანი თავისი ფიქრებითა და მისწრაფებებით.

ვეძებდეთ და ვპოულობდეთ ახალ ცოცხალ ფორმებს იდეოლოგიური მუშაობის გადამწყვეტ დარგში — პარტიულ პროპაგანდაში, ვცდიდეთ და ვბედავდეთ — აქეთკენ მოგვიწოდებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ".

---



სურათზე: პროპაგანდისტთა რესპუბლიკური სემინარის მონაწილენი (მარცხნიდან მარჯვნივ) — პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე კ. დოლიძე, პარტიის ლენინგორის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ე. ბითაროვა, პარტიის გაგრის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე შ. კაკულია და პარტიის მესტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ბ. ქალდანი.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა.

## განიარაღებისათვის მებრძოლი ორგანიზაცია ამერიკაში

ვაშინგტონი, 8 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. შიშკინი იუწყება: სრული და საყოველთაო განიარაღების უზრუნველყოფა პრეზიდენტის არჩევნების მთავარი საკითხი უნდა გახდეს. ასეთი ლოზუნგით შეერთებულ შტატებში შეიქმნა ორგანიზაცია „1960 წლის კამპანია განიარაღებისათვის". გამოაცხადა რა 7 ივლისს აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ამ ორგანიზაციის შექმნა, მერილენდის უნივერსიტეტის ატომური ბირთვის შესწავლის დარგის ფიზიკოსმა ჯონ ტოლმა ხაზი გაუსვა, რომ ატომური ომის საფრთხე ახლა ყველაზე სერიოზული საფრთხეა მთელი კაცობრიობისათვის.

„განიარაღებისათვის 1960 წლის კამპანიის" საქმიანობაში მონაწილეობენ გონივრული ატომური პოლიტიკისათვის ბრძოლის ეროვნული კომიტეტი, ამერიკის მეცნიერთა ფედერაცია, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ქალთა საერთაშორისო ლიგა, აგრეთვე მთელი რიგი პროფკავშირული, პაციფისტური და რელიგიური ორგანიზაციები. ახალ ორგანიზაციას სათავეში უდგას ორი თავმჯდომარე — სარა ლოურენსის კოლეჯის ყოფილი პრეზიდენტი ჰაროლდ ტეილორი და „კოპერ უნიონის" ფიზიკის განყოფილების მეთაური ჰიუ უოლფი.

„1960 წლის კამპანია განიარაღებისათვის" უწინარეს ყოვლისა ცდილობს, რომ შეერთებულმა შტატებმა იკისრონ ვალდებულება — იბრძოლონ სრული და საყოველთაო განიარაღებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობითა და კონტროლით.

„1960 წლის კამპანია განიარაღებისათვის" აწარმოებს პრეზიდენტობის კანდიდატების დაკითხვას იმის შესახებ, თუ როგორია მათი პოზიციები განიარაღების საკითხებში, აწყობს თავის წარმომადგენელთა გამოსვლებს ორივე მთავარი პარტიის სხდომებზე, აწარმოებს მუშაობას ამომრჩევლებთან ადგილებზე, ავრცელებს პროპაგანდისტულ ლიტერატურას განიარაღების დარგში და აწყობს სტუდენტთა სააგიტაციო ავტოგარბენებს ქვეყნის სხვადასხვა შტატში.

## პ. ნ. პოსპელოვი ლონდონს ჩავიდა

ლონდონი, 9 ივლისი. (საკდესი). 8 ივლისს ჰარი პოლიტის დაკრძალვაზე ლონდონს ჩავიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი პ. ნ. პოსპელოვი.

## ტელეგრაფი გვატყობინებს

◆ ინგლისის თევზსაჭერი გემის კაპიტანმა, გემისა, რომელიც დაბრუნდა შოტლანდიასა და ისლანდიას შორის მდებარე რაიონის თევზსარეწიდან, მადლობა გადაუხადა საბჭოთა ხომალდის კომანდას, რომელმაც დახმარება გაუწია ტრაულერის კომანდის ერთ-ერთ წევრს, რომელიც ავად გახდა ცურვის დროს. „ავადმყოფი კარგად მიიღეს საბჭოთა ხომალდზე, განაცხადა კაპიტანმა, ექიმმა კვალიფიციური დახმარება აღმოუჩინა მას. ეს ჩვენი პირველი შეხვედრა იყო რუსებთან და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე".

◆ „არავითარი ატომური იარაღი ნორვეგიის მიწა-წყალზე!" ასეთი რეზოლუცია მიიღო ნორვეგიის მუშათა პარტიის სერ-ტრენდელის ოლქის საოლქო ორგანიზაციის ყოველწლიურმა კონფერენციამ, რომელიც ამას წინათ მოეწყო.

◆ დასავლეთ გერმანიის მშრომელები მოითხოვენ ხელფასის გადიდებას. 1960 წლის პირველ ნახევარში მუშათა ზეგავლენით დარღვეულ იქნა სატარიფო ხელშეკრულებანი ექვსი მილიონი მშრომელისათვის.

◆ როგორც იაპონიის რადიო იუწყება, ტოკიოს მუნიციპალიტეტის მონაცემებით, 1 ივნისისათვის ტოკიოს მოსახლეობის რაოდენობამ 9.353.127 კაცს მიაღწია.

## საერთაშორისო ცხოვრება

დეპეშები, ცნობები, მიმოხილვა

## ფრანგი კოლონიზატორები ძალებს აგროვებენ

პარიზი, 8 ივლისი. (საკდესი). ულტრა მემარჯვენე პოლიტიკურ მოღვაწეთა ჯგუფმა შექმნა „ეროვნული ფრონტი საფრანგეთის ალჟირისათვის", „საფრანგეთის ალჟირის ფრონტის" მხარდასაჭერად, რომელიც ამას წინათ შექმნეს მემარჯვენე ელემენტებმა ალჟირში. იუწყება რა ამას, ფრანს პრესის სააგენტო აღნიშნავს, რომ ახალი კოლონიალისტური დაჯგუფების ლიდერები არიან პუჟადისტთა პარტიის ყოფილი წევრი ლე პენი, აგრეთვე ცნობილი რეაქციონერები — პარლამენტის წევრი პოლკოვნიკი ტომაზო და პარლამენტის ყოფილი წევრები ჟან ტიქსიე-ვინიანკური და ჟან დიდი. გუშინ პარიზში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც „საფრანგეთის ალჟირისათვის ეროვნული ფრონტის" მეთაურებმა გამოაქვეყნეს „მანიფესტი", სადაც თავმოყრილია ანტიკომუნისტური და კოლონიზატორული მოწოდებანი.

## მდგომარეობა იტალიაში

რომი, 8 ივლისი. (საკდესი). პოლიტიკური მდგომარეობა იტალიაში თითქმის ყოველ საათს მწვავდება. გუშინ ჩრდილოეთ იტალიის უდიდეს სამრეწველო ქალაქ რეჯო-ემილიაში გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა. ქალაქის მშრომელები გამოვიდნენ ქუჩებში, რათა პროტესტი განეცხადებინათ ფაშისტური საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც სულ უფრო ძლიერდება. შეიარაღებული პოლიციის დიდი რაზმები თავს დაესხნენ დემონსტრანტებს, აამოქმედეს ცრემლსადენი გაზის ბომბები. შეტაკება ნამდვილ საბარიკადო ბრძოლად გადაიქცა. პოლიციამ ანტიფაშისტებს დაუშინა ავტომატის ცეცხლი. ანსას სააგენტოს ცნობით, მოკლულ იქნა 5 კაცი და ბევრი დაიჭრა, მათგან 20 კაცი მძიმე მდგომარეობაში მყოფი საავადმყოფოში მიიყვანეს.

დემონსტრანტებისა და პოლიციის შეტაკება მოხდა მოდენასა და პარმაში. არიან დაჭრილები. ნეაპოლში გაიმართა ანტიფაშისტებისა და ნეოფაშისტური პარტიის „იტალიის სოციალური მოძრაობა" ახალგაზრდა წევრთა შეტაკება; ამ პარტიის ყრილობა, რომელიც გათვალისწინებული იყო 2 ივლისს გენუაში, ჩაიშალა დემოკრატიული ძალების შეკავშირებული მოქმედების მეოხებით.

გუშინ სამრეწველო საწარმოთა და ტრანსპორტის მშრომელთა საყოველთაო გაფიცვები გაიმართა რომში, ბოლონიაში, ფერარაში, რავენაში, ლივორნოსა და იტალიის სხვა ქალაქებში.

იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციამ მოუწოდა მთელი იტალიის მშრომელებს დღეს მოაწყონ 10 საათის საყოველთაო გაფიცვა 14.00 საათიდან 24.00 საათამდე ადგილობრივი დროით.

## „პოლარისი წყალში ვარდება"

ლონდონი, 9 ივლისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი კანავერალის კონცხიდან იუწყება, 7 ივლისს გემიდან გაშვებული რაკეტა „პოლარისი" წყალში ჩავარდა ზედ გემის ცხვირის წინ, რომელიც რაკეტის გაშვებას ახორციელებდა.



## ნორჩ ნატურალისტებთან

[illegible] ...ციალისტები აქ იღებენ პირველ „ნათლობას" — ეუფლებიან აგროტექნიკის ძირითად ჩვევებს.

**სურათზე:** თბილისის 68-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები ნ. ბეჟუაშვილი (მარჯვნიდან), ნ. ჯაფარიძე და ნ. მურღვაია ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ სადგურში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## სპორტის ამბები

### ევროპის თასზე ფეხბურთში

# ვინ გაიმარჯვებს დღეს?

[illegible] ...ერთი დარტყმა გოლით დაგვირგვინდა. თამაშის მეორე ნახევარში „პარტიზანის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბობეკმა ანგარიში ორამდე გაზარდა. მატჩი დამთავრდა იუგოსლაველთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

განვლილი თხუთმეტი წლის მანძილზე საბჭოთა და იუგოსლაველი ფეხბურთე- [illegible]



ევროპის თასი.

[illegible] ...ბურთელებს ოქროს მედლები მოეპოვე[illegible]ბინათ.

ამრიგად, განვლილი ორი შეხვედრიდან ერთი საბჭოთა ფეხბურთელებმა მოიგეს, ხოლო მეორე — იუგოსლაველებმა.

ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს დღეს პარიზში.



## თბილისი—პარიზი

### „პაკა დე პრენსის" სადღონი ფინალისტებს მოელის

[illegible]



## თბილისი—პიარნუ

### უკანასკნელი ტურის წინ

[illegible]

## ისინი კოსმოსში ფრინავდნენ

[illegible]

# მოგვითხრობენ მეხიკოს გაზეთები

### ქართველი მოცეკვავეები მექსიკაში

ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის შემდეგ, როგორც ცნობილია, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულმა ანსამბლმა დიდი წარმატებით გამართა კონცერტები მექსიკაში, მექსიკელები ქართველი მოცეკვავეების ყოველ გამოსვლას ოვაციითა და აღტაცებით ხვდებოდნენ. მათ ხელოვნებას მაღალი შეფასება მისცა მექსიკის პრესამ.

ამას წინად ქ. მეხიკოდან მივიღეთ გაზეთების ის ნომრები, რომლებშიაც აღტაცებით მოთხრობილია ჩვენი გამოჩენილი ანსამბლის არაჩვეულებრივი წარმატების შესახებ.

გაზეთ „ექსელსიორში" თეატრალური კრიტიკოსი დოქტორი ლუის ბრუნო რუისი წერს:

„სასარგებლო და საჭიროა ნახოთ ქართული ხალხური ბალეტი. უყურებთ რა მის გამოსვლებს, ხვდებით, რომ ამ ცეკვებში ეროვნული თვისებები ისე ჩანს, როგორც სუფთა სარკეში.

ცეკვა „ყაზბეგურში" გამოდის ორი მამაკაცი და ერთი ქალი. ცეკვა „სამაია" აღმოსავლური ბრილიანტია, რომელსაც ასრულებს სამი ლამაზი ასული ეროვნული ჩაცმულობით, რომლებიც წააგავენ სამ ქალღმერთს ყვავილებით ხელში. ჩვენ ვუყურებთ მოცეკვავეების მოძრაობას სინათლისა და ჩრდილის ფონზე. ცეკვა ხასიათდება რბილი მოძრაობით და გვირგვინდება „პორტედე ბრათი". ეს ცეკვა ძლიერ მიმზიდველია, იქ ხელების მოძრაობას მთავარი ადგილი უჭირავს. ამ მოცეკვავეებს კლასიკური სკოლა აქვთ.



...STO vimos en el BALLET

Armonía, Dinamismo, Precisión

...fue el México

Una Idea Exacta del Espíritu Eslavo en el Espectáculo del Ballet Georgiano

მაგრამ მთავარი ის არის, რომ კლასიკური ბალეტისაგან ისინი განსხვავდებიან იმ მაჯისცემით, რომელიც ახასიათებს მიწას, საიდანაც ისინი მოვიდნენ".

იგივე გაზეთი კვლავ ბეჭდავს აღფრთოვანებულ წერილს სათაურით „ბრწყინვალე ბალეტი „ბელიას არტეს" სასახლეში", რომელშიც ვკითხულობთ:

„რამდენიმე წლის წინათ, იმის შემდეგ, რაც ჩვენ მივესალმეთ რუსული, პოლონური და ფილიპინების კუნძულების ცეკვისა და სიმღერის ანსამბლებს, მოგვეცა სასიამოვნო შემთხვევა გვენახა ქართული ბალეტის ბრწყინვალე გამოსვლა.

ეჭვს გარეშეა ის ფაქტი, რომ ხალხთა საგანძურის, მისი სიმღერებისა და ცეკვების გაცნობა ყველაზე კარგი საშუალებაა ხალხთა მეგობრობისა და კარგი დამოკიდებულების დასამყარებლად. ფოლკლორი გამოხატავს ეროვნულ სიმდიდრეს, რომელიც უნდა ინახებოდეს, იზრდებოდეს, სრულყოფილი ხდებოდეს.

ქართულმა ბალეტმა გვიჩვენა ვირტუოზული მოცეკვავეები, რომელთა ბრწყინვალება ჩაუქრობელია, დაუჯერებელია მათი ხტომა, მუხლებზე და თითის წვერებზე ცეკვა. მათი შავი, განსაკუთრებული ჩაცმულობის მსგავსი დღემდე არაფერი გვინახავს.

მამაკაცთა შესანიშნავი „დინამიურობის საწინააღმდეგოდ, ქალები კი არ ცეკვავენ, არამედ დაცურავენ მოხდენილად, ხელების ნაზი რიტმული მოძრაობით. რაც მთავარია, ისინი სილამაზით განთქმული კავკასიის ერების წარმომადგენლები არიან."

მექსიკის ერთ-ერთი პოპულარული გაზეთი „ნოვედადესი" აქვეყნებს წერილს უზარმაზარი სათაურით — „ქართულ ბალეტს ოვაციებით ხვდებიან!".

„ქართული ბალეტის უჩვეულო სანახაობას, — წერს გაზეთი, — მეორე დღესაც უამრავი მაყურებელი დაესწრო. იგივე პროგრამა იყო გამეორებული, იგივე ლამაზი ქალები, რომლებიც ფერიებივით დაცურავენ სცენაზე. იგივე მამაკაცები, რომლებიც გაოცებენ თავიანთი რთული ილეთების ხელოვნების სიძლიერით. მოხდენილი და ეფექტური ჩაცმულობა, რაც ნათელ წარმოდგენას იძლევა შორეულ საქართველოზე.

სამწუხაროდ, დღეს, ორშაბათს, თავდება ქართული ბალეტის გამოსვლები".

„ჰარმონიული, დინამიური და ვაჟკაცური!" ასე უწოდა ერთ-ერთმა მექსიკურმა გაზეთმა ქართულ ცეკვებს. გაზეთი შემდეგ წერდა:

„განუსაზღვრელი და, შეიძლება ითქვას, დაუშრეტელია საბჭოთა ფოლკლორის სიმდიდრე, რის გამო საბჭოთა ბალეტი ყოველთვის საინტერესო და მიმზიდველია მისი მრავალფეროვანი ცეკვებით, სახასიათო ჩაცმულობით და მუსიკის ხალხურობით. ქართული შესანიშნავი ხალხური ბალეტის წარმოქმნას ხელი შეუწყო საქართველოს მდიდარმა ისტორიამ და ბუნებამ, რაც საქართველოში განსაკუთრებით პოეტურია.

„ლელოს" გარდა, რომელიც ჩვენებურ „რუკბოს" წააგავს, ყველა ცეკვა წარმოადგენს ნამდვილ პოემებს, რომლებიც ცხოვრებიდან არის აღებული. „ლელო" ითვლება იუმორისტულ კომიკურ ცეკვად, იგი ხანდახან მოგვაგონებს „გლობე ტროტერს".

ჰარმონიულად არის შერწყმული ქალთა სინაზე და დიდი ტემპერამენტი მამაკაცებისა, რომლებიც უძლიერეს სპორტსმენებს შეიძლება შევადაროთ. ამის შესანიშნავი მაგალითია ცეკვა „ფერხული", რომლითაც კონცერტი იწყება, თეთრი კოსტიუმებით გამოწყობილი ქალები გამოდიან და იშლე- [illegible]

[illegible] წვერებზე, რაც ზღაპრულად [illegible]ვენებათ. საკმარისია მიაღწი[illegible] „მხედრულამდე", რომ თქვ[illegible]ცებამ საზღვრებს გადააჭარბ[illegible] კაცთა სისწრაფისა და მოქნილობის გამო. ამ მომენტში მაყურებელი მშვიდად ვერ ზის და გაისმის გაოცებისა და აღფრთოვანების შეძახილები. ეს ნამდვილად უმაგალითო სპექტაკლია.

ქართული ხალხური ბალეტი შეუდარებელი და ბრწყინვალეა.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ეს ის წარმოდგენაა, რომლის მსგავსი ჯერ არ უნახავს მექსიკელებს".

გაზეთი „ნოვედადე" კვლავ ბეჭდავს აღტაცებულ რეცენზიას სათაურით — „სენსაცია ქართული ბალეტის დებიუტის გამო მექსიკაში":

ბუნება და ისტორია გაერთიანდა, რათა საქართველო პოეტურ მხარედ გადაექცია. მისი მზით განათებული ტყეები, ველ-მინდვრები, ბროლის წყლიანი ჩანჩქერები; ამ მშვენების საწინააღმდეგოდ ქართველების თავდადებული ბრძოლები უცხოელი დამპყრობლების — სპარსელების, მონღოლების, არაბების და სხვათა წინააღმდეგ ბადებდა მათში პატრიოტობისა და სიამაყის გრძნობას, რომელიც გამოხატულებას პოულობს პოეზიასა, მუსიკასა და ცეკვასიმღერებში. საქართველო მდიდარია ხალხური ცეკვებით. მისი ცეკვების მრავალფეროვნება დიდი ისტორიული წარსულითა და მისი ცხოვრებით აიხსნება".



თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრიადოსანი სტუდენტი ლამარა გულუა, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს სწავლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ წავიდეს მშობლიურ ბათუმში.

ფოტო ო. არობელიძისა და შ. ჩხეტიანისა.

## მამაცი ქალი

**ივნისის** ერთ დილით სოფელ ხოტევში (ამბროლაურის რაიონი) დიასახლის ევგენია სიმონის ასულ კობახიძის ყურადღება ქალის განწირულმა კივილმა მიიქცია. ეზოში რომ გამოვიდა, საშინელი სურათი წარმოუდგა: ორღობეში გამორბოდა ცეცხლმოდებული ქალიშვილი არიშა კობახიძე. ევგენიამ სწრაფად მოისაზრა, თავისი ხალათი გაიხადა და ცეცხლმოდებულ ადამიანს შემოახვია. არიშამ ისღა მოასწრო ეთქვა „ჩვენს სახლს მიხედეო", და გული წაუვიდა. ევგენია ვლადიმერ კობახიძის სახლისაკენ გაიქცა.

ბოლით ჩამობნელებულ სახლში არაფერი ჩანდა. ცეცხლი ედებოდა კედელს და იატაკს. ევგენიამ ცეცხლს შეაყარა ბუხრიდან ნაცარი, წყალიც მონახა, ტომრებიც გამოიყენა და ხანძარი შეანელა. როდესაც შემთხვევის ადგილზე ხალხმა თავი მოიყარა, ხანძრის კერა დამორჩილებული დახვდათ.

ევგენიას გაბედული კეთილშობილური საქციელი ჭეშმარიტად სიმამაცის განსახიერებაა. მან გადაარჩინა დაწვას სახლი, სიკვდილს გამოსტაცა ადამიანი.

მაგრამ რამ გამოიწვია ხანძარი? გაუფრთხილებლობამ... არიშა ანთებულ ნავთქურაში ასხამდა ნავთს, ნავთქურა აფეთქდა და ცეცხლიანი ნავთი შეეფრქვია მას და კედლებს.

აკ. კერესელიძე.

## საჩუქარი ქართველ სპორტსმენებს

**ბათუმი,** 8 ივლისი. (საქინფორმი). ბათუმში დამთავრდა საცურაო აუზის მშენებლობა. იგი აგებულია მოსკოვის ლუჟნიკის აუზის ტიპის მიხედვით. ეს კარგი საჩუქარია აჭარისა და მთელი საქართველოს სპორტსმენებისათვის.

ქართველი სპორტსმენები ახალ საცურაო აუზში ამ თვის დამლევს უნგრელ სპორტსმენებთან მოაწყობენ ამხანაგურ შეხვედრას ცურვაში.

## შემთხვევა სასაფლაოზე

**ნაშუადღევის** სამი საათი იყო. ზესტაფონის ქუჩებში მილიციის ოპერატიული მუშაკები ღ. ღვინეფაძე და ნ. გოგოძე მორიგ შემოვლას ამთავრებდნენ, რომ მათი ყურადღება მიიპყრო ბნელი შესახვევიდან გამოსულმა ავტომანქანა „ვოლგამ", რომელშიც სავსე ტომრები ელაგა და ორი კაცი იჯდა.

მილიციელებმა მძღოლს გაჩერების ნიშანი მისცეს. მაგრამ მან საჭე მკვეთრად შეატრიალა, მარცხნივ შეუხვია და ბნელ ქუჩაში მიიმალა.

— ეს გზა მხოლოდ სასაფლაოზე მიდის. სთქვეს და სასაფლაოსაკენ გასწიეს. ხუთი წუთიც არ გასულა, რომ „ვოლგა" უკან ბრუნდებოდა. მაგრამ შიგ აღარც ტომრები ჩანდა და აღარც მგზავრები.

ავტომანქანა გააჩერეს. მძღოლი ჯაბა კალისტრატეს-ძე ბრეგვაძე აღმოჩნდა.

მძღოლი მანქანიდან გადმოიყვანეს და მილიციის განყოფილებაში გაგზავნეს. საჭეს კი ღ. ღვინეფაძე მიუჯდა.

მალე „ვოლგა" სასაფლაოს მიადგა. ღ. ღვინეფაძემ მანქანის ოდნავ გასაგონი სიგნალი მისცა. უცებ შრიალი გაისმა და საფლავის ლოდიდან ტომრებით ხელში წამოდგა ორი „აჩრდილი" რომლებიც მანქანისაკენ გამოემართნენ. მათ ტომრები მანქანაში შეაგდეს და თვითონაც შიგ ჩასხდნენ.

— მობრძანდით, მობრძანდით, შეეგებნენ ღ. ღვინეფაძე და ნ. გოგოძე, — სხვა რა ამბავია საიქიოს.

„აჩრდილები" აღმოჩნდნენ კარგად ცნობილი კომბინატორები ა. წვენიაშვილი და ი. ნანიკაშვილი. ისინი ოთხჯერ იყვნენ მიცემული პასუხისგებაში და სულ ახლახან განთავისუფლდნენ.

— აბა რა გაქვთ ტომრებში, რა მოიტანეთ საიქიოდან? — ჰკითხეს ხაფანგში გაბმულ წვენიაშვილსა და ნანიკაშვილს.

მილიციის მუშაკებმა ისევ საფლავს მიაშურეს, საიდანაც „აჩრდილები" გამოძვრნენ და სადაც კიდევ ორი სავსე ტომარა აღმოაჩინეს.

როდესაც მათ ტომრები გახსნეს, შიგ დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ქალის ნეილონის ბლუზები. როგორც გამოირკვა, თერჯოლის რაიკავშირის მაღაზიის ყოფილმა გამგემ ი. ელიკიშვილმა და იმავე მაღაზიის გამყიდველმა მ. ელიკიშვილმა 206 ცალი ქალის ნეილონის ბლუზა წინასწარი მოლაპარაკებით სასპეკულაციოდ გადასცეს წვენიაშვილს და ნანიკაშვილს, რაც მათ თბილისში მიჰქონდათ ჯ. ბრეგვაძის მანქანით.

კომბინატორები მახეში გაებნენ.

შ. როზაქიძე,
ზ. მესენბისერი.



## ვ. მ. გიგინეიშვილი — გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ვ. მ.



გიგინეიშვილმა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა დისერტაცია თემაზე: „სეტყვიანობა აღმოსავლეთ საქართველოში".

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ვ. მ. გიგინეიშვილისათვის გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

ამ დისერტაციის მონოგრაფიის სახით უახლოეს დღეებში გამოსცემს მოსკოვში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური გამომცემლობა.

## ამინდი

**მრავალი** დღის შემდეგ ამინდის ბიუროს ცნობაში დასავლეთ საქართველოსათვის ნაცვლად სიტყვებისა „ცვალებადი მოღრუბლულობა" გამოჩნდა სიტყვები „მცირე მოღრუბლულობა". ეს იმას ნიშნავს, რომ უახლოეს ორ-სამ დღეში იქ იქნება ცხელი მზიანი უქარო ამინდი უნალექოდ. აღმოსავლეთ საქართველოშიც მოიმატებს სიცხე, შეიძლება ალაგ-ალაგ, უმეტესად მთიან რაიონებში მოვიდეს ხანმოკლე ელჭექიანი წვიმა.

დააკვირდით ტემპერატურას — მისი პროგნოზიც ადასტურებს, რომ მოსალოდნელია სიცხე: დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში მინიმალური ტემპერატურა იქნება ღამით 16-21, დღისით 27-32 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 10-15, დღისით 22-27 გრადუსი; აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში — ღამით 14-19, დღისით 26-31 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 8-13, დღისით 20-25 გრადუსი.

„კომუნისტის" დღევანდელი ნომერი გამოდის 6 გვერდზე.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

10 ივლისი



**თეატრები:** მოსკოვის სტანისლავსკის სახელობის დრამატული თეატრის გასტროლები — სახლი ზღვის პირას (დღისით), გამარჯობა, კატია! (საღამოს, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაში), **ფილარმონიის საზაფხულო** — საესტრადო ანსამბლი ქ. დუვალიანის მონაწილეობით.

**ტელევიზია:** 12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად", 12.15 — კონცერტი ნორჩ მაყურებელთა თხოვნით, 12.40 — მხატვრული ფილმი „მეკარე ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობს", 19.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 19.20 — კინონარკვევი, 20.00 — მოსკოვის სტანისლავსკის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლის „გამარჯობა, კატია!" ტრანსლაცია ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 8-63-03, 8-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 8-72-80, სამდივნოს — 8-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 8-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 8-57-61, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-80-84, წერილების — 8-73-24, ინფორმაციის — 8-16-90, საილუსტრაციო — 8-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღებისა — 3-64-42.

უდ 04003 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.